კითხვის ეფექტური მეთოდები

ფილმსა და გზამკვლევზე მუშაობდნენ:

პაატა პაპავა
ნათია ნაცვლიშვილი
ნატო მახარობლიძე
მაკა მახარობლიძე
ქეთი ფიცხელაური

პროექტის კოორდინატორი:

ნათია ნაცვლიშვილი

სტილი და კორექტურა:

მაია მენაბდე

ყდის დიზაინი:

ბესიკ დანელია

სარჩევი

შესავალი 5

დიდი წიგნების ერთობლივი კითხვა 18

მნიშვნელოვანი სიტყვები 23

დაფიქრდი, დაწყვილდი, გაუზიარე 30

ორიენტირებული კითხვა 35

მკითხველთა თეატრი 42

ურთიერთსწავლება 49

შესავალი

„კითხვის ეფექტური მეთოდები“ წარმოადგენს დამხმარე მეთოდურ მასალას საქართველოს სკოლების მასწავლებლებისთვის. წარმოდგენილი გზამკვლევისა და თანდართული ფილმის ძირითადი მიზანია, ხელი შეუწყოს მასწავლებლებს წიგნიერებაზე ორიენტირებული საკლასო გარემოსა და სასწავლო პროცესის ორგანიზებაში, რაც, თავის მხრივ, თითოეული მოსწავლის აკადემიური წარმატების ყველაზე მყარი საფუძველია ნებისმიერ საგანში. მასალა მოიცავს კითხვის სწავლებისა და სწავლის საუკეთესო, მრავალგზის აპრობირებულ მეთოდებს, რომელთა გამოყენებაც საგრძნობლად გააუმჯობესებს მოსწავლეთა კითხვით უნარ-ჩვევებს. მოცემული მეთოდები მაღალი ეფექტურობით გამოირჩევა და მათი სასწავლო პროცესში დანერგვა სწრაფად იძლევა სასურველ შედეგს. ამგვარად, წარმოდგენილი მასალის დამუშავების გზით, მასწავლებლები შეძლებენ, კიდევ ერთხელ გაიაზრონ კითხვის მნიშვნელობა თავიანთ საგანში (საგნობრივ ჯგუფში), გამოკვეთონ ეფექტური კითხვის ძირითადი მახასიათებლები და აღიჭურვონ კითხვის სწავლების რამდენიმე საუკეთესო მეთოდით.

„კითხვის ეფექტური მეთოდები" მოიცავს ორ კომპონენტს: სასწავლო მეთოდურ ფილმსა და მის გზამკვლევს. გთავაზობთ რამდენიმე ძირითად რეკომენდაციას, რომელიც გაგიადვილებთ წარმოდგენილი მეთოდების ეფექტურად დანერგვას სასწავლო პრაქტიკაში:

- მასალის ეფექტური გამოყენებისათვის, აუცილებელია ფილმსა და გზამკვლევზე პარალელურად მუშაობა. კონკრეტული მეთოდი ფილმში წარმოდგენილია საგაკვეთილო სიტუაციების მეშვეობით, გზამკვლევი კი ფილმს თეორიული მიმოხილვით ავსებს და მასწავლებელს მეთოდის განხორციელების საფეხურების აღწერას სთავაზობს;

- სასურველია, მასწავლებლებმა ყურადღებით დაამუშაონ გზამკვლევის შესავალი, სადაც ის მთავარი კონცეპტუალური საკითხებია განხილული, რომელიც ექვსივე მეთოდის საფუძველსა და იდეურ საყრდენს წარმოადგენს და მხოლოდ ამის შემდეგ გადავიდნენ ცალკეული მეთოდების განხილვაზე;

- წარმოდგენილ მასალას მასწავლებელი შეიძლება გაეცნოს როგორც ინდივიდუალურად, ასევე, კოლეგებთან ერთად. თუმცა, მნიშვნელოვანი იქნება, თუ შეირჩევა ისეთი სამუშაო ფორმატი (მაგ. კათედრა, საგნობრივი ჯგუფები), რომელიც მასწავლებლებს დისკუსიისა და მოსაზრებების ურთიერთგაზიარების საშუალებას მისცემს. ასეთი რეჟიმი ხელს შეუწყობს როგორც, ზოგადად, შინაარსის სიღრმისეულ გათავისებას, ასევე, მეთოდების დანერგვის პროცესის ეტაპობრივ და მიზანმიმართულ განხორციელებას;

- მეთოდების დანერგვის პროცესში, განსაკუთრებული მნიშვნელობა კოლეგების თანამშრომლობასა და ურთიერთსწავლებას ენიჭება. ურთიერთსწავლების ყველაზე გავრცელებულ ფორმად კი შეიძლება წყვილებში მუშაობა ჩაითვალოს, როდესაც ორი კოლეგა წინასწარ თანხმდება კონკრეტული მეთოდის გამოცდაზე, განიხილავს ერთმანეთის გაკვეთილის გეგმებს, ესწრება ერთმანეთის გაკვეთილს და ერთმანეთს თავიანთ შენიშვნებსა და მოსაზრებებს უზიარებს;

- მეთოდების დანერგვის პროცესში მოცემული თანმიმდევრობის დაცვა აუცილებელი არ არის. მასწავლებელს შეუძლია, უპირატესობა რომელიმე კონკრეტულ მეთოდს მიანიჭოს, იმის მიხედვით, თუ კითხვის რომელ ასპექტზე (გამართული კითხვა, ლექსიკური მარაგის გამდიდრება, წაკითხულის გაგება და ა.შ.) სურს მუშაობა მოცემულ ეტაპზე;

- მასწავლებლებს შეუძლიათ, შემოქმედებითად მიუდგნენ თითოეულ მეთოდს; შეუძლიათ მათი ადაპტირება კონკრეტული კლასის საჭიროებებისა და ხელმისაწვდომი რესურსების მიხედვით; შეუძლიათ შეცვალონ ტექსტი, გამოიყენონ მოსწავლეთა დაჯგუფებისა და კლასის ორგანიზების განსხვავებული აქტივობები და ა.შ. მთავარია, მეთოდის იდეა და ძირითადი ფაზები შენარჩუნდეს.

თანამედროვე ქართულ სკოლაში კითხვის სწავლების აქტუალობაზე ყურადღება რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორის გამო გავამახვილეთ. კერძოდ:

- ეფექტური კითხვის უნარი, პრაქტიკულად ყველა საგანში, სწავლისა და აკადემიური წარმატების ფუნდამენტია. ვინაიდან მოსწავლეებს სხვადასხვა საგანში განსხვავებული ტიპის ტექსტებთან უწევთ მუშაობა, კითხვის სწავლება სცილდება მშობლიური ენის პროგრამის ფარგლებს და საგნობრივი კათედრების პასუხისმგებლობებს უერთდება;
- კვლევები ცხადყოფს, რომ თუ ბავშვმა ცხრა წლის ასაკს ისე გადააბიჯა, რომ კითხვის საბაზისო უნარები არასათანადოდ ჩამოუყალიბდა, მისი შემდგომი აკადემიური მოსწრება დიდი საშიშროების წინაშე დგება. კითხვაში წარუმატებელი ბავშვების უმრავლესობა (სხვადასხვა კვლევის მიხედვით, დაახლოებით, 80-90%) სკოლის დამთავრებამდე წარუმატებელ მოსწავლედ გვევლინება. კითხვის უნარის განმტკიცება დაწყებითი საფეხურის გავლის შემდეგაც, ანუ საბაზო და საშუალო საფეხურებზეც ძალზე მნიშვნელოვანია. ეს გულისხმობს სასწავლო პროცესის გამდიდრებას ახალი მეთოდებითა და სტრატეგიებით და მრავალფეროვანი საკითხავი მასალით. ასევე, აქტუალურია კითხვისა და წერის, როგორც სწავლის ფუნდამენტური უნარების ინტეგრირება სასწავლო პროცესში;
- საქართველოში ჩატარებულმა კვლევებმა არასახარბიელო სურათი დაგვანახა. 2006 წელს საქართველომ მონაწილეობა მიიღო წიგნიერების საერთაშორისო, ფართომასშტაბიან კვლევაში, რომელიც 9-10 წლის ბავშვთა კითხვის უნარის შეფასებას ისახავდა მიზნად. მსოფლიოს 45 ქვეყნის ბავშვები ქართველ ბავშვებთან ერთად იღებდნენ მონაწილეობას კვლევაში: ისინი ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ტექსტს კითხულობდნენ და თანდართულ ტესტურ შეკითხვებს პასუხობდნენ. აღნიშნული კვლევის მიხედვით, ქართველ ბავშვებს საშუალოზე დაბალი მიღწევები აქვთ, ბოლოდან მე-9 ადგილი 45 ქვეყანაში;
- ბოლო წლების განმავლობაში საქართველოშიც დაგროვდა კითხვის/ წიგნიერების დონის ამაღლებაზე ორიენტირებული პედაგოგიური ცოდნა და გამოცდილება. განხორციელდა რამდენიმე პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მასწავლებლებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს კითხვის მეთოდების დანერგვაში. იმართება კითხვის სწავლების საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენციები, ხორციელდება ტრენინგ-პროგრამები, იბეჭდება სპეციალური ლიტერატურა და ა. შ.
- საქართველოში სკოლების განახლება და სისტემური განვითარება რეალურ პროცესად იქცა. სკოლის ლიდერები, ადმინისტრატორები და მასწავლებლები, ეძებენ და სულ უფრო ხშირად მიმართავენ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ორგანიზების თანამედროვე მიდგომებს. თუ წიგნიერების დონის ამაღლებას სკოლის მართვა-განვითარების განზომილებაში განვიხილავთ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ჩნდება წიგნიერებაზე ორიენტირებული სკოლები.

როგორც აღვნიშნეთ, წარმოდგენილი მასალა, ძირითადად, ეფექტური კითხვის სტრატეგიებზეა ფოკუსირებული, რაც შემთხვევითი სრულებით არ არის. კითხვა და წერა სწავლის ყველაზე ძლიერი საყრდენებია არა მხოლოდ მშობლიური ენისა და ლიტერატურის, არამედ ნებისმიერი საგნის პროგრამაში. მასწავლებლებს კარგად ესმით, რომ მოსწავლის აკადემიური წარმატება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ეფექტური მკითხველია მოსწავლე. იმედი გვაქვს, ეს მასალა

დახმარებას გაუწევს პედაგოგებს, რათა უკეთ გაიაზრონ წიგნიერების (კითხვისა და წერის კომპეტენციების) განვითარების არსებითი მხარეები როგორც დაწყებით, ისე მომდევნო საფეხურებზე და, იმავდროულად, დაეუფლონ კითხვის სწავლების ეფექტურ სტრატეგიებსა და მეთოდებს.

ჩვენ გვესმის, რომ სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად, მასწავლებლებს კონკრეტული მოდელების ნახვა და საკუთარ პრაქტიკაში აპრობირება ესაჭიროებათ. ამიტომ გზამკვლევი პრაქტიკული დანიშნულებისაა. მეორე მხრივ, სწავლება-სწავლის კონსტრუქტივისტული პარადიგმა გვკარნახობს, რომ თითოეულ პედაგოგიურ ქმედებას გაცნობიერებულად და რაციონალურად უნდა მივუდგეთ. საამისოდ კი ამ მეთოდების საფუძველში მდგარი თეორიული წანამძღვრებიც უნდა გავიაზროთ.

წარმოდგენილ მასალაზე მუშაობდნენ როგორც განათლების სპეციალისტები, ასევე პრაქტიკოსი მასწავლებლები, რომლებიც საგაკვეთილო პროცესში ხშირად მიმართავენ აღნიშნულ მეთოდებს.

რა ვიცით ეფექტური კითხვისა და ეფექტური მკითხველის შესახებ?

ვინაიდან კითხვის უნარის განვითარება სკოლამდელ ასაკში იწყება და სკოლის დასრულების შემდეგაც გრძელდება, მოსწავლის ეფექტურ მკითხველად ფორმირების ყველაზე ადეკვატურ პერიოდად სწორედ სასკოლო ასაკი უნდა მივიჩნიოთ. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ორი ეტაპი:

1. I-IV კლასები.
2. V-IX კლასები.

ამ პერიოდებში მიმდინარე პროცესების გააზრება დახმარებას გაგვიწევს შესატყვისი პედაგოგიური მიზნების დასახვაში.

ქვემოთ მოცემულია ეფექტური მკითხველის რამდენიმე მნიშვნელოვანი მახასიათებელი. თუკი თითოეული მახასიათებლის განვითარებას საკმარის დროსა და ძალისხმევას დავუთმობთ, მოსწავლეთა კითხვითი უნარების განვითარებას ადეკვატურ პირობებს შევუქმნით. მაშ ასე, ეფექტური მკითხველი:

- კითხულობს **გამართულად**, ანუ უშეცდომოდ, გაბმულად, გამომეტყველებით და სათანადო სიჩქარით. გამართულად კითხვაში საკვანძო მომენტია სიტყვის ნაწილებად ამოკითხვიდან მთელი სიტყვებით კითხვაზე გადასვლა. გამართული კითხვა არის ხიდი კითხვის ტექნიკასა და გაგებას შორის. კითხვის გამართვის, ანუ ტექნიკური მხარის ავტომატურ რეჟიმში გადასვლის შედეგად, მკითხველის ძალისხმევა, ძირითადად, ტექსტის მნიშვნელობის კონსტრუირებას ეთმობა;
- ტექსტში მოცემული საკითხის გარშემო, კითხვის ყველა ეტაპზე ააქტიურებს და იყენებს არსებულ, **წინარე ცოდნას**, რათა სიღრმისეულად გაიაზროს ტექსტი;
- მიმართავს ტექსტის **ვიზუალიზებას**. კარგი მკითხველი გონებაში ქმნის აზრობრივ სურათ-ხატებს ტექსტში მოცემული მოვლენების, მოქმედი პირებისა და საგნების, მათი თვისებებისა და მახასიათებლების, აღწერილი გარემოებების შესახებ. მკითხველის წარმოსახვა აქტიურად მუშაობს, რათა სიტყვები ვიზუალურ ელემენტებად გააცოცხლოს;

- გამოთქვამს **ვარაუდებს** წასაკითხი თემისა და შინაარსის შესახებ. ვარაუდები უბიძგებს მკითხველს, ჩამოაყალიბოს კონკრეტული მოლოდინები ტექსტთან დაკავშირებით, ყურადღებით გააგრძელოს მომდევნო მონაკვეთების კითხვა და გადაამოწმოს, რამდენად გამართლდა მისი ვარაუდები;
- განსაზღვრავს ტექსტის ელემენტების აქტუალობას. შეუძლია გამიჯნოს **მთავარი და მეორეხარისხოვანი ასპექტები** წაკითხულ ტექსტში. იმსჯელოს, რომელი სიტყვა, ტერმინი, ფრაზა თუ წინადადება შეიცავს ყველაზე მნიშვნელოვან აზრებს ტექსტის კონსტრუირებისა და გაგებისათვის;
- ერთმანეთთან **აკავშირებს** წაკითხული ტექსტის ელემენტებს და ცდილობს, გაამთლიანოს კითხვის პროცესში მიღებული ინფორმაცია. კითხვის პროცესში მნიშვნელოვანია სამი ძირითადი ტიპის კავშირების დამყარება:
  1. ტექსტის ერთი ნაწილის დაკავშირება ამავე ტექსტის სხვა ნაწილთან.
  2. ტექსტის დაკავშირება საკუთარ გამოცდილებასთან.
  3. ტექსტის დაკავშირება გარესამყაროსთან.
- ცდილობს, ჩასწვდეს წაკითხულს, როგორც კითხვის პროცესში, ასევე კითხვის დასრულების შემდეგ. დასკვნები გამოიტანოს ტექსტში მოცემული წანამძღვრების ან მოვლენების საფუძველზე;
- კითხვის ყველა ეტაპზე სვამს შესაბამის შეკითხვებს ტექსტის სხვადასხვა ასპექტის შესახებ. მკითხველის მიერ დასმული შეკითხვები შეიძლება შეეხებოდეს ტექსტის წაკითხვის მიზანს, შინაარსს, სტრუქტურას, ცალკეული მონაკვეთის არსს და ა. შ.
- კითხვის პროცესში აკვირდება და აცნობიერებს ავტორის შეხედულებებს, განწყობა-დამოკიდებულებებს; აანალიზებს აღწერილ მოვლენებს, ამუშავებს ავტორისეულ არგუმენტებს, დასკვნებსა და ფაქტობრივ ინფორმაციას, რაც კრიტიკული წიგნიერების საფუძველს წარმოადგენს;
- აკვირდება და მონიტორინგს უწევს საკუთარი აზროვნების პროცესს (მიმართავს მეტაკოგნიციას), რათა გამოავლინოს ხარვეზები გაგებაში. მიმართავს კითხვისა და გაგების შესაბამის სტრატეგიებს, რათა აღმოფხვრას ჩავარდნები აზრის კონსტრუირებაში.

ეფექტური მკითხველის ჩამოყალიბების პედაგოგიური პროცესი ორი გზით მიმდინარეობს:

1. მასწავლებელი თავად უჩვენებს მოსწავლეებს გამართული კითხვის მაგალითს, გააზრებული კითხვის სტრატეგიებს და უჩვენებს მათი გამოყენების ხერხებს სხვადასხვა კონტექსტში. მოსწავლეები აკვირდებიან დემონსტრირებულ უნარებს და ცდილობენ, თავადაც გამოიყენონ ისინი კითხვითი დავალებების შესრულების დროს. მიზნობრივი დავალებების მიცემით, მასწავლებელი უძღვება კითხვის ამა თუ იმ სტრატეგიის გავარჯიშების პროცესს და დროული კომენტარებით ეხმარება კონკრეტული უნარების დახვეწას.
2. მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს მრავალფეროვან ტექსტებს და შესაბამის საკლასო ან საშინაო კითხვით დავალებებს. მოსწავლეები ინდივიდუალურად ან ჯგუფებში კითხულობენ, რასაც სხვადასხვა ზეპირი ან წერითი დავალებების შესრულება მოსდევს.

წიგნიერების განვითარების ძირითადი ასპექტები

კითხვის უნარის ჩამოყალიბება და განვითარება რამდენიმე ძირითად ასპექტს მოიცავს. ესენია:

- ზეპირი მეტყველება;
- წიგნისა და ტექსტის მახასიათებლების ცოდნა;
- ფონეტიკური ცოდნა / ანბანის ცოდნა;
- ლექსიკური მარაგი / სიტყვების ცოდნა;
- მთლიანი სიტყვების ამოცნობა;
- გამართული კითხვა (უშეცდომოდ, სათანადო სიჩქარით, გამომეტყველებით);
- გაგება / გააზრება / მნიშვნელობის კონსტრუირება.

შესაბამისად, კითხვის სწავლება და სწავლა მოსწავლეების მიერ ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტების გავარჯიშებასა და გამოყენებას გულისხმობს. თითოეულ კომპონენტს ჩასახვისა და განვითარების გარკვეული ეტაპები გააჩნია. მაგალითად, წიგნისა და ტექსტის მახასიათებლებს ბავშვები 2-დან 6 წლამდე ასაკში სწავლობენ.

ქვემოთ კითხვის თითოეულ კომპონენტს მოკლედ მიმოვიხილავთ.

ზეპირი მეტყველება

წიგნიერების, ანუ წერა-კითხვის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი და წინაპირობა ზეპირი მეტყველებაა. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ რა საბაზისო უნარ-ჩვევებს ფლობს ბავშვი სკოლაში სწავლის დაწყებისას. მასწავლებლები მრავალფეროვანი საშუალებებით უწყობენ ხელს მოსწავლეთა ენობრივ განვითარებას ზეპირი მეტყველების კუთხით. მაგალითად: არაფორმალური ან სტრუქტურირებული საუბრით, სხვადასხვა სირთულის შეკითხვების დასმით, საინტერესო თემებზე დისკუსიის წარმართვით და ა. შ. დემონსტრირების საშუალებით, მასწავლებლები აწვდიან მოსწავლეებს საკუთარი აზრებისა და შეხედულებების გამოხატვის ეფექტურ მოდელებს და ცდილობენ, თანმიმდევრულად დაეხმარონ მოსწავლეებს მრავალფეროვან სამეტყველო სიტუაციებში. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა გაითვალისწინოს ბავშვის ენობრივი განვითარების კანონზომიერებები ადრეულ ასაკში (დაბადებიდან ექვს წლამდე). ხუთი წლის ასაკში ბავშვები პრაქტიკულად უშეცდომოდ იყენებენ მშობლიური ენის გრამატიკას. ამიტომ საწყის პერიოდში თავისუფალი გამოხატვის საშუალების მიცემა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შეცდომების გასწორებაზე კონცენტრირება, რაც საგრძნობლად აფერხებს ბავშვის მიერ ენობრივი ფორმების გამოყენებას.

წიგნისა და ტექსტის მახასიათებლების/კონცეპტების ცოდნა

წიგნისა და ტექსტის მახასიათებლების გაცნობიერება მკითხველის განვითარების აუცილებელი, ფუნდამენტური ელემენტია. დამწყებ მკითხველს თანდათანობით უნდა ჩამოუყალიბდეს წარმოდგენები ტექსტის დანიშნულების, აგებულებისა და მოქმედების წესების შესახებ. თუ ოჯახსა და საბავშვო ბაღში ბავშვი წიგნიერ გარემოში იმყოფება და ეჩვევა ნაბეჭდ ტექსტებს, ის ადრეულ ასაკშივე, ადვილად და ბუნებრივად ითვისებს წიგნისა და ტექსტის სხვადასხვა მახასიათებელს. მაგრამ თუ სკოლამდელ ასაკში ბავშვი წიგნიერ გარემოში არ იმყოფება, მას მიზნობრივი დახმარება ესაჭიროება.

წიგნსა და ნაბეჭდ ტექსტს რამდენიმე ძირითადი მახასიათებელი გააჩნია, რომელიც ბავშვმა ადრეულ ასაკში უნდა აითვისოს. კერძოდ:

- ნაბეჭდი ტექსტი შეიცავს ინფორმაციას. მაშინაც კი, როცა ბავშვი „კითხვობანას" თამაშობს, სურათებისა და საკუთარი მეხსიერების გამოყენებით (მიუხედავად იმისა, სიტყვებს სწორად კითხულობს თუ არა), ის ტექსტის არსებითი მახასიათებლის ცოდნას ამჟღავნებს;

- წიგნს გააჩნია კონკრეტული ელემენტები, რომლებიც გარკვეული წესით არის ორგანიზებული. მაგალითად, წიგნს აქვს ყდა და სათაური. მას ჰყავს ავტორი. ქართულენოვანი ტექსტი იწერება და იკითხება გარკვეული მიმართულებით (მარცხნიდან მარჯვნივ და ზემოდან ქვემოთ). თუ ბავშვი წარმატებით მიუთითებს ან მისდევს ნაბეჭდ ტექსტს, როცა ხმამაღლა უკითხავენ, ის ტექსტის მიმართულების კონცეპტის ცოდნას ამჟღავნებს;

- ნაბეჭდი ტექსტი შედგება ისეთი ელემენტებისაგან, როგორიცაა ასო, სიტყვა და წინადადება. დამწყები მკითხველი თანდათანობით მიჯნავს ერთმანეთისაგან ამ ფორმებს, ეუფლება ტექსტის „დასაწყისისა" და „დასასრულის" ცნებებსა და სასვენ ნიშნებს (მაგ. წერტილი, მძიმე, კითხვის ნიშანი და სხვ.).

წიგნისა და ტექსტის მახასიათებლების სწავლებისათვის მთელ მსოფლიოში ფართოდ გამოიყენება ერთობლივი კითხვის მეთოდები, დიდი წიგნები, პლაკატზე გადიდებული ლექსები და სხვ. ასევე, მნიშვნელოვანია ინტერაქციული/ერთობლივი წერის, ენობრივი პრაქტიკის, ტექსტის დანაწევრებისა და სხვა ეფექტური სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია, პირველი კლასში სწავლის დაწყებისთანავე შემოწმდეს ბავშვების მიერ ტექსტის მახასიათებლების ცოდნა, რისთვისაც სპეციალური მარტივი ტესტები გამოიყენება.

ფონეტიკური ცოდნა / ანბანის ცოდნა

ფონეტიკური ცოდნა ასოებსა და ბგერებს, ანუ გრაფემებსა და ფონემებს შორის მიმართებების ცოდნას გულისხმობს. ის, ასევე, მოითხოვს იმის გაცნობიერებას, რომ ასოების კომბინირებით სიტყვები, ანუ მნიშვნელობის მატარებელი ერთეულები მიიღება (იხ. ტექსტის მახასიათებლები). ასოებსა და ბგერებს შორის პირდაპირი ურთიერთმიმართება ქართული ენის მნიშვნელოვანი მახასიათებელია. თუმცა, ამ ენობრივმა ფაქტორმა კითხვის სწავლების პედაგოგიურ მიდგომებში რამდენიმე, ჩვენი აზრით, მეცნიერული კუთხით გადასახედი მოსაზრების დამკვიდრებას შეუწყო ხელი. კერძოდ, სპეციალური მეცნიერული კვლევის გარეშე, მიჩნეულია, რომ კითხვის სწავლების ჰოლისტურ მიდგომებს, როგორიცაა სიტყვების ამოცნობა, მოკლე ამბების შეთხზვა და ა. შ. დრო არ უნდა დავუთმოთ და ბავშვები, ძირითადად, ასოებისა და მარცვლების სწავლებით დავაკავოთ.

საქართველოში ანბანის სწავლებისა და ფონეტიკური ვარჯიშების საკმაოდ დიდი გამოცდილებაა, რაც ე.წ. გოგებაშვილისეულ მეთოდიკასთანაა გაიგივებული. მათი ეფექტურობა გამოცდილი და დამტკიცებულია, თუმცა უნდა ითქვას, რომ თავად იაკობ გოგებაშვილი 1865 წლის «ქართული ანბანისა და პირველი საკითხავი წიგნის» გამოცემაში სპეციალურად მასწავლებელთათვის ამ საკითხს შემდეგნაირად განიხილავს:

„ყველა ახალი მიიღების მაშინ, როდესაც ძველში შეამჩნევენ ნაკლულევანებას. რა ნაკლულევანება აქვს ჩვეულებრივ ანბანების მეთოდს? პირველი და უმთავრესი ნაკლულევანება ამ მეთოდისა მდგომარეობს იმაში, რომ ანბანი იწყების ასოებიდგან. ასოები ცალცალკე არა საგანს არ აჩვენებენ, არა ჰაზრს არა ხატვენ. ამიტომ სწავლის დაწყება ასოებიდგან ყმაწვილისათვის არის მავნებელი. აი, მისცეს ყმაწვილს ხელში ანბანი და ეუბნებიან: ეს ასო არის ა, ეს ბ და სხვანი. ყმაწვილის თავში, რასაკვირველია, არა ჰაზრი არ იხატება. ამიტომ პირველივე შეხვედრაზედ ყმაწვილს სწავლა ეჩვენება, როგორც ერთი უაზრო საგანი. ამ მეთოდს, მაშასადამე, შეუძლიან პრველათვე შეაძულოს სწავლა ყმაწვილსა და წაართვას მას წადილი სწავლისა!

მეთოდი ზოლოთოვისა, რომელზედაც არის შედგენილი ეს ანბანი, არღვევს ზემოხსენებულს ნაკლულევანებას. ეს ანბანი იწყების სიტყვებიდგან. მაშასადამე, ყმაწვილი პირველვე დაინახავს სწავლაში ჰაზრსა; ამიტომ, რომ ყველა სიტყვა ხატავს რაიმე აზრსა, აჩენებს რაიმე საგანსა. მაშასადამე, პირველათვე ყმაწვილი შეხედავს სწავლას, როგორც გონივრულ საგანს და წახალისდება..... აი, ყმაწვილს მასწავლებელმა წააკითხა სიტყვა: დე-და. ყმაწვილი წარმოიდგენს თავის დედასა, ამასთანავე თავის სახლს, მამას, ძმებს, ადგილს. ერთი სიტყვით, ეს ერთი სიტყვა რამდენმე საგანს მოაგონებს, რამდენმე ჰაზრს წარმოუდგენს გონებაში ყმაწვილსა. მოსწავლე იგრძნობს მაშინვე კავშირს ბუნებასა, ცხოვრებასა და სწავლას შუა. და რადგანაც ყოველს ყმაწვილს უყვარს ბუნება და ცხოვრება, სწავლაზედაც წახალისდება. გარდა ამისა, ყმაწვილი ამ მეთოდზედ თითონ კითხვას უფრო გონივრულათ სწავლობს, - ეჩვევა კითხვას მარცვლების და არ ასოების ჩათვლით.....

იქმნება ბევრმა განკვირვებით თქვას: როგორ უნდა ისწავლოს სიტყვების კითხვა ყმაწვილმა, როცა ასოები ჯერ არ იცის. შეუჩვევრობა არის მიზეზი ამ განკვირვების. როცა მასწავლებელი გაიცნობს ამ მეთოდსა, მაშინ ადვილათ ეჩვენება სწავლა ამ ანბანში...“

როგორც ვხედავთ, წერა-კითხვის სწავლების გოგებაშვილისეული ხედვა და ანბანისა და საკითხავი სიგნების პირველი გამოცემები სწორედ ანალიტიკურ მეთოდს ეფუძნება. ამ მეთოდის ამოსავალ დებულებებს, მისი აზრით, წარმოადგენს ე.წ. „წინამძღოლი აქტივობები"; მარტივი საუბრები ბავშვისათვის ნაცნობ თემებზე, მათთვის გასაგებ ენაზე; ხატვა; სურათებისა და სხვა ვიზუალური ელემენტების შემოტანა; ბავშვებისათვის საინტერესო და გასაგები ტექსტები, მდიდარი ლექსიკური მარაგით.

სწავლების ამ, ანალიტიკური (დღევანდელი გაგებით, ჰოლისტური) მიდგომის მიხედვით, ბავშვი, დეკოდირების (გოგებაშვილის სიტყვებით, „თითონ კითხვის") დაწყებამდე, ეჩვევა ტექსტთან ურთიერთობას და უფრო დიდი ლექსიკური ერთეულებიდან ნელ-ნელა გადადის მარცვლებსა და ასო-ბგერებზე. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ ფონეტიკის სწავლება მთლიან ტექსტებზე მუშაობასთან იყოს ინტეგრირებული. ეფექტურად ილუსტრირებული მცირე ტექსტების გამოყენება და ე.წ. ენობრივი პრაქტიკის მეთოდი ხელს უწყობს ბავშვებში სიტყვების ამოცნობის უნარის განვითარებას, რის შემდეგაც ისინი ადვილად გადადიან ფონეტიკურ ვარჯიშებზე.

ფონეტიკის სწავლება მრავალფეროვანი ხერხებით არის შესაძლებელი. ყველა მოსწავლეს ერთი და იგივე დრო და თანმიმდევრობა არ სჭირდება ანბანის შესასწავლად. მნიშვნელოვანია, რომ ფონეტიკის სწავლება მთლიან ტექსტებზე მუშაობასთან უნდა იყოს ინტეგრირებული, მაგალითად, ენობრივ პრაქტიკასა და შინაარსის გააზრებას დაუკავშირდეს. მოსწავლემ, შესაძლოა, სიტყვა ამოიკითხოს, მაგრამ მისი მნიშვნელობა არ ესმოდეს. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ წასაკითხი სიტყვების დიდი უმრავლესობა ბავშვის სამეტყველო ენის შემადგენელი იყოს.

ლექსიკური მარაგი / სიტყვების ცოდნა

კარგად არის ცნობილი, რომ ტექსტის გაგების ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობა სიტყვების მნიშვნელობის ცოდნაა. ამიტომ სიტყვათა მარაგის გაფართოება და სიტყვებს შორის კავშირების დამყარება ეფექტური კითხვის მნიშვნელოვანი ასპექტია.

თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები დაეუფლონ უცნობ სიტყვებთან მუშაობის ისეთ სტრატეგიებს, როგორიცაა: კონტექსტური გასაღებების გამოყენება, სიტყვის ნაწილების გააზრება, სიტყვებს შორის კავშირების დამყარება და ა. შ.

მასწავლებლებს შეუძლიათ ახალ და უცხო სიტყვებთან მუშაობის ისეთი მეთოდების გამოყენება, როგორიცაა: მნიშვნელოვანი სიტყვები, სიტყვის გამომძიებლები და სხვ.

მთლიანი სიტყვების ამოცნობა

სიტყვის ამოცნობა მოითხოვს ფონეტიკურ ცოდნას, სიტყვის სტრუქტურის ანალიზს, კონტექსტური გასაღებების გამოყენებას, ვიზუალური სურათის გახსენებას, კონფიგურაციას და სხვ. მკითხველები შემდეგი სტრატეგიების გამოყენებით ამოიცნობენ სიტყვებს:

- ისეთი, უკვე ნანახი სიტყვების ცნობა-იდენტიფიცირება, რომლებიც ადრეულ ტექსტებში ხშირად გვხვდება;

- კონფიგურაციული გასაღებების გამოყენება. ზოგჯერ სიტყვის ფორმა ეხმარება მკითხველს ამოცნობაში. მაგ. გრძელი და მოკლე სიტყვები. ვინაიდან ბევრი სიტყვა ფორმით ძლიერ ჰგავს ერთმანეთს, კონფიგურაციის გამოყენება საკმარისი არ არის;
- სიტყვის აგებულების ამოცნობა (მორფოლოგიური ან სტრუქტურული ანალიზი). დამწყებ მკითხველებს სჭირდებათ სიტყვის ნაწილების (ფუძე, თავსართი, ბოლოსართი და ა. შ.) სწავლება და გაცნობიერება;
- კონტექსტური გასაღებები. კარგი მკითხველები ცდილობენ, გაიაზრონ წაკითხული და ყურადღებას აქცევენ გარემომცველ სიტყვებს, წინადადების შინაარსს, აბზაცის არსს, რათა ასე ამოიცნონ უცნობი სიტყვის მნიშვნელობა.

გამართული კითხვა

ყველა ჩვენგანი, განსაკუთრებით კი მასწავლებლები, ადვილად ამოვიცნობთ გამართული კითხვის მახასიათებლებს.

პირველ რიგში, კითხვა გამართულია, როცა მკითხველი კითხულობს უშეცდომოდ და სწრაფად. ჩუმად კითხვის დროს მკითხველი ავტომატურად ამოიცნობს სიტყვებს, ცალკეული სიტყვების დეკოდირების გარეშე, და იმგვარად აჯგუფებს მათ, რომ ტექსტის შინაარსს ადვილად იგებს. გამართულ მკითხველს ხმამაღლა წაკითხვა ძალისხმევის გარეშე და გამომეტყველებით შეუძლია. წაკითხული ბუნებრივად ჟღერს და ზეპირ მეტყველებას ჰგავს. როცა მოსწავლე გამართულად კითხულობს, სასვენ ნიშნებთან მცირე პაუზებს აკეთებს, კითხულობს ინტონაციებით.

ზემოთ აღწერილი სურათისაგან განსხვავებით, გამართულ კითხვას ვერ დავარქმევთ, როცა ბავშვი კითხულობს ნელა და დიდი ძალისხმევით; ბორძიკობს ზოგიერთი სიტყვის წაკითხვის დროს, ზოგ სიტყვას ორჯერ ან მეტჯერაც კითხულობს, ზოგიერთ სიტყვას საერთოდ გამოტოვებს და დროდადრო ტექსტში მოცემულ სიტყვებს სხვა სიტყვებით ჩაანაცვლებს. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი სიტყვის წინ ყოვნდება, მძიმესა და წერტილთან პაუზას არ აკეთებს.

როგორც ჩანს, გამართული კითხვა არის ხიდი სიტყვის ამოცნობასა და გაგებას შორის, ამიტომ გამართული კითხვის სწავლებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს.

ბავშვები, რომლებიც გამართულ კითხვაში წარმატებას ვერ აღწევენ, მძიმე შედეგის წინაშე დგანან, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად გონებაგახსნილნი არიან. სამწუხაროდ, ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე ცუდ მკითხველებად დარჩებიან.

გამართულ კითხვას სკოლებში საკმარისი ყურადღება არ ეთმობა. საბედნიეროდ, მთელ მსოფლიოში, მკვლევარნი და პრაქტიკოსი მასწავლებლები სულ უფრო მეტად უღრმავდებიან გამართული კითხვის მნიშვნელობას.

მოცემული მასალის მიზანია, უკეთ გავაცნობიეროთ, რას გვეუბნება კვლევა გამართული კითხვის მნიშვნელობის, ასევე, მისი განვითარების ძირითადი ფაქტორების შესახებ.

გაგება/გააზრება/მნიშვნელობის კონსტრუირება

ტექსტის შინაარსის გაგება და მნიშვნელობის კონსტრუირება კითხვის უმთავრესი ამოცანაა. თუ მკითხველი კითხულობს სიტყვებს, მაგრამ ვერ იგებს წაკითხულის აზრს, კითხვის პროცესი უშედეგოდ მიმდინარეობს. ტექსტის გაგება მასში გადმოცემული აზრების/იდეების გაცნობიერებასა და გონებაში გამთლიანებას გულისხმობს. როცა მოსწავლე კითხვის პროცესში აკვირდება გაგების პროცესს, მან იცის, რა გაიგო და რა ვერ გაიგო. კვლევა და პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ადრეული ასაკიდან მოყოლებული, მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი გაგების მონიტორინგი და ამ მიზნით სპეციალური სტრატეგიების გამოყენება. ამისათვის მასწავლებელმა დემონსტრირების მეთოდი და სწავლების ეფექტური აქტივობები უნდა გამოიყენოს.

მასწავლებლები მიმართავენ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა: ვარაუდების გამოთქმა, შეკითხვების დასმა, წინარე ცოდნის გააქტიურება, კავშირების დამყარება, ერთობლივი კითხვა, ორიენტირებული კითხვა და ა. შ.

კითხვის სწავლების ჩარჩო

კითხვა სამსაფეხურიანი პროცესია და თითოეულ საფეხურზე გარკვეული ქმედებების შესრულებას გულისხმობს. ქვემოთ კითხვის თითოეული საფეხური ცხრილის ფორმით არის მოცემული.

საფეხური	მკითხველის ქმედება	შედეგი
კითხვის დაწყებამდე	• განსაზღვრავს მოცემული ტექსტის წაკითხვის მიზანს; • სვამს შეკითხვებს (შინაარსი, სტრუქტურა, ავტორის პოზიცია და ა. შ.); • აყალიბებს ვარაუდებს ტექსტის გარშემო; • ააქტიურებს არსებულ ცოდნას თემის ირგვლივ; • მიმოიხილავს ტექსტის ელემენტებს.	• გარკვეულია წაკითხვის მიზანი; • აღძრულია კითხვის მოტივაცია; • გააქტიურებულია არსებული ცოდნა; • განსაზღვრულია ტექსტის ტიპი და ძირითადი მახასიათებლები; • შერჩეულია კითხვის სტრატეგია.
კითხვის პროცესი	• სვამს შეკითხვებს; • შეაჯამებს წაკითხულ მონაკვეთებს; • ქმნის ვიზუალურ მენტალურ სურათებს; • ამყარებს სამი სახის კავშირებს (იხ. ზემოთ); • მოიძიებს ინფორმაციას ბუნდოვანი მონაკვეთების/სიტყვების გაგების მიზნით; • აყალიბებს ახალ ვარაუდებს; • მონიტორინგს უწევს გაგების პროცესს; • გამოაქვს დასკვნები.	• მენტალური სურათები; • ვარაუდები; • კავშირები; • დასკვნები.
წაკითხვის შემდეგ	• სვამს შემაჯამებელ შეკითხვებს; • გადაამოწმებს გაგების ეფექტურობას; • აყალიბებს საკუთარ პოზიციას.	• დასკვნები; • პოზიცია.

წარმოდგენილი მეთოდების მოკლე მიმოხილვა

მოცემული გზამკვლევი ექვს მეთოდს მოიცავს. მეთოდები ქვემოთ, ცხრილის სახით არის წარმოდგენილი. თითოეული მათგანი რამდენიმე აქტივობის შესრულებას მოითხოვს და მათში ინტეგრირებულია საუბარი და წერა.

მეთოდი	სამიზნე უნარები კითხვის ასპექტების მიხედვით	საგნები	კლასები	ტექსტის ტიპები
დიდი წიგნების ერთობლივი კითხვა	ტექსტის მახასიათებლების ცოდნა, ფონეტიკური ცოდნა, გამართული კითხვა, ლექსიკური მარაგი, გაგება.	ქართული ენა და ლიტერატურა, ქართული როგორც მეორე ენა, უცხო ენა, ბუნება, ხელოვნება, მუსიკა.	I-II	თხრობითი, ლექსი
ორიენტირებული კითხვა	გაგება	ნებისმიერი	I -IX	თხრობითი, ინფორმაციული
მკითხველთა თეატრი	გამართული კითხვა, გაგება	ქართული ენა და ლიტერატურა, ქართული, როგორც მეორე ენა, უცხო ენა	II- VI	თხრობითი, ლექსი
დაფიქრდი-დაწყვილდი-გაუზიარე	გაგება, ლექსიკური მარაგი	ნებისმიერი	III-IX	ნებისმიერი
მნიშვნელოვანი სიტყვები	ლექსიკური მარაგი, გაგება	ნებისმიერი	III-IX	ინფორმაციული, თხრობითი
ურთიერთსწავლება	გაგება, ლექსიკური მარაგი	ნებისმიერი	III-IX	ინფორმაციული, თხრობითი

წიგნიერებაზე ორიენტირებული სკოლა

რა მახასიათებლებით გამოირჩევა წიგნიერებაზე ორიენტირებული სკოლა?

- სკოლის ადმინისტრაცია და მასწავლებლები კარგად აცნობიერებენ და აღიარებენ ეფექტური კითხვისა და წერის უნარების განვითარების მნიშვნელობას ნებისმიერი საგნის სწავლებასა და სწავლაში;
- მასწავლებლები ფლობენ კითხვის სწავლების ეფექტურ მეთოდებს და რეგულარულად იყენებენ მათ სასწავლო პროცესში;
- მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, ხშირად წაიკითხონ და იმსჯელონ წაკითხულის გარშემო, თვით გაკვეთილების მსვლელობის პროცესში, და არა მხოლოდ შინ, საშინაო დავალებაზე მუშაობის დროს;
- სკოლაში არსებობს მდიდარი ბიბლიოთეკა ტექსტებითა და წყაროებით;
- ყველა საგნობრივი ჯგუფის კათედრაზე არსებობს კითხვისა და წერის სწავლების წლიური გეგმა, რომელიც ნათლად გამოხატავს მოსწავლეების მიერ კითხვის უნარის დაუფლების გზაზე მისაღწევ შედეგებს;
- მასწავლებლები ეუფლებიან და ერთმანეთს უზიარებენ კითხვის სწავლების ეფექტურ მეთოდებს; აანალიზებენ მოსწავლეების, განსაკუთრებით - პრობლემური მკითხველების საჭიროებებს და იყენებენ ადეკვატურ მიდგომებს;
- მასწავლებლები აქტიურად მუშაობენ ოჯახებთან, რათა დაეხმარონ მშობლებს წიგნიერი გარემოს შექმნაში; აწვდიან მათ შესაბამის რეკომენდაციებს.

დიდი წიგნების ერთობლივი კითხვა

მეთოდის შესახებ

არსებობს წიგნის რამდენიმე ძირითადი მახასიათებელი. გზამკვლევის შესავალში უკვე ვისაუბრეთ ამ მახასიათებლებისა და დამწყები მკითხველის მიერ მათი გაცნობიერების მნიშვნელობის შესახებ. აქ მოკლედ გავიხსენებთ, თუ რა უნდა იცოდეს ბავშვმა წიგნის შესახებ:

- წიგნს აქვს გარკვეული ფორმა და ძირითადი ელემენტები (წიგნის წინა და უკანა მხარეები, ყდა და მისი ელემენტები, როგორიცაა სათაური, ილუსტრაცია, ავტორი, მხატვარი და სხვ.);
- ვკითხულობთ ნაბეჭდ ტექსტს და არა ილუსტრაციებს;
- ტექსტს აქვს მიმართულება (დასაწყისი და დასასრული). კითხვას ვიწყებთ მარცხნიდან მარჯვნივ და მივყვებით ზემოდან ქვემოთ;
- ტექსტი შედგება სიტყვებისაგან. თითოეული სიტყვა შეიცავს გარკვეულ აზრს. სიტყვების ერთობლიობა ქმნის წინადადებას;
- სიტყვები შედგება ასოებისა და მარცვლებისაგან, რომლებიც აზრს არ გამოხატავს;
- ტექსტში გვხვდება სასვენი ნიშნები. თითოეული სასვენი ნიშანი გარკვეულ როლს ასრულებს.

ამ მახასიათებლების ცოდნა ბავშვებს კითხვის დროს წიგნზე ყურადღების კონცენტრირებასა და აზრის გამოტანაში უნდა დაეხმაროს. თუ მოსწავლეს უჭირს ამა თუ იმ მახასიათებლის გაგება, ხელმეორედ უნდა ავუხსნათ.

ასევე, კარგად არის ცნობილი, რომ ყველა პატარა მკითხველისათვის სასარგებლოა წერა-კითხვის ე. წ. ჰოლისტური მიდგომით მუშაობა.

ჰოლისტური მიდგომა ბავშვის განვითარების ფილოსოფიას ეფუძნება. ამ მიდგომის დამცველები დარწმუნებულნი არიან, რომ ბავშვი კითხვასა და წერას ისევე სწავლობს, როგორც ლაპარაკსა და მოსმენას - ცდისა და შეცდომის მეთოდით და ენის პრაქტიკული და აქტიური გამოყენებით.

ჰოლისტური მიდგომა ყურადღებას ამახვილებს ტექსტიდან აზრის გამოტანის მნიშვნელობაზე. მოტივაცია კითხვის სწავლის პროცესში უაღრესად მნიშვნელოვნად არის მიჩნეული და ამიტომაც ავთენტური (რეალური, კონკრეტული), საინტერესო ლიტერატურის გამოყენება, ტექსტებით მდიდარი გარემოს შექმნა იმისათვის, რომ მოზარდებს კითხვის მოტივაცია გავუღვივოთ, ამ მეთოდის ქვაკუთხედია.

ერთი მხრივ, წიგნის (ტექსტის) მახასიათებლების ათვისებისა და, მეორე მხრივ, ჰოლისტური მიდგომის საუკეთესო მეთოდია „დიდი წიგნის ერთობლივი კითხვა".

მეთოდის გამოყენების შედეგად, მოსწავლე შეძლებს მოისმინოს, ადეკვატურად აღიქვას და გადმოსცეს მარტივი ინფორმაცია მისთვის ნაცნობ თემებზე და

გამოხატოს თავისი დამოკიდებულება წაკითხულის მიმართ; გამოიმუშაოს წიგნთან მუშაობის საწყისი ჩვევები, გაარჩიოს წიგნის გარეკანი, თავფურცელი და ძირითადი ტექსტი, სათაური, ავტორის სახელი და გვარი, ილუსტრაციები, პირობით ნიშნები; კითხვისას გამოიყენოს მისთვის ხელსაყრელი ხერხი (მაგალითად, თითის გაყოლება).

მეთოდის გამოყენება სასწავლო პროცესში

მეთოდის ძირითად რესურსს დიდი წიგნები წარმოადგენს, რომლებიც შეიძლება თქვენ თვითონ დაამზადოთ. ქვემოთ მოცემულია სასარგებლო რჩევები:

,,დიდი წიგნი“ არის გაზეთის ზომის წიგნი, 4-იდან 16 გვერდამდე. ასეთ წიგნში ტექსტი დიდი ასოებითაა მოცემული, ისე, რომ გარკვეულ დისტანციაზე მსხდომმა ბავშვებმა წაკითხვა შეძლონ. ეს ნიშნავს, რომ ასოები 3,5 სმ.-დან 5 სმ.-მდე ზომის უნდა იყოს. სასურველია, თითოეულ გვერდზე მარტივი ნახატებიც განთავსდეს. ეს დაეხმარება ბავშვებს, უკეთ აღიქვან ტექსტის შინაარსი. დიდი წიგნის ტექსტი დაწერილი უნდა იყოს მსხვილი, მუქი და კარგად ხილვადი ასოებით - ისე, რომ მათი დანახვა შორიდან შეიძლებოდეს. ტექსტი არ უნდა იყოს დიდი და მისი ზომა უნდა შეესაბამებოდეს ბავშვების გამოცდილებას.

დიდი წიგნის შექმნას გარკვეული წინასწარი სამუშაო სჭირდება. პირველ რიგში, ისეთი ტექსტი უნდა შეირჩეს, რომლის წაკითხვაც რამდენჯერმე, სხვადასხვა მიზნით იქნება შესაძლებელი. ხშირად ასეთ დიდ წიგნებს აგებენ გარკვეული ქარგის მიხედვით, რომელშიც რამდენჯერმე მეორდება ერთი და იგივე სიტყვა თუ ფრაზა, რათა მოსწავლემ უკეთ დაიმახსოვროს იგი. შეიძლება ათჯერ ან ოცჯერ დაგჭირდეთ ერთი და იმავეს წაკითხვა, რათა მოსწავლეებმა დაიმახსოვრონ, რომელი წინადადება რა აზრს გადმოსცემს. თავიდან ბავშვები სიტყვების ამოკითხვაზე არ მუშაობენ, ვინაიდან მათ არ იციან კითხვა / დეკოდირება. ისინი ვიზუალურად იმახსოვრებენ მთლიან სიტყვებს და წინადადებებსაც კი. ბავშვები მთლიანობაში აღიქვამენ ტექსტს, და არა ნაწილ-ნაწილ. ისინი „კითხულობენ“ აუდიტორული მეხსიერებით. ბევრი ასეთი გაკვეთილის ჩატარება დაგჭირდებათ, სანამ ასო-ბგერების წაკითხვას ასწავლით, რადგან მათ ჯერ უნდა შეძლონ, დაახლოებით, 150 სიტყვის ამოცნობა მაინც. ისინი ჯერ ვერ ამოიკითხავენ, მაგრამ დაიმახსოვრებენ, რა წერია.

ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, ერთი კონკრეტული სიტყვა აჩვენეს 500 ამერიკელ და კანადელ ბავშვს (5 წლის ასაკში). 99%-მა ამოიცნო, რა ეწერა. ეს იყო სიტყვა „მაკდონალდსი“. ეს სიტყვა, მართალია, რთულია, მაგრამ ბავშვები ხშირად ხედავენ აბრაზე ამ სიტყვას, აკვირდებიან, იმახსოვრებენ და ამოიცნობენ.

შემოგთავაზებთ ტექსტის რამდენიმე ნიმუშს/ქარგას:

1. **მიმართვისა და გამოხმაურების ქარგა.**

   მაგ: ,, მურა დათვო, მურა დათვო, რას ხედავ?

   მე ვხედავ ყვითელ იხვს, რომელიც მე მიყურებს”...

2. **მიმდევრობითი წყობა.**

   მაგ: ,,ორშაბათს ჩემს სანახავად მეფე მოვიდა,
   მაგრამ მე სახლში არ დავხვდი.

   სამშაბათს ჩემს სანახავად მეფე და დედოფალი მოვიდნენ, მაგრამ მე სახლში არ დავხვდი.

   ოთხშაბათს ჩემს სანახავად მეფე, დედოფალი და უფლისწული მოვიდნენ, მაგრამ მე სახლში არ დავხვდი”...

3. **ჩამოთვლაზე აგებული ქარგა.**

მაგ: ,,ხუთი პატარა იხვი სათამაშოდ გავიდა ჯერ მინდორზე, შემდეგ კიდევ უფრო შორს, მინდვრის გაღმა. როდესაც დედა იხვი უკან წამოვიდა, ოთხი პატარა იხვი სირბილით გამოედევნა.

ოთხი პატარა იხვი სათამაშოდ გავიდა...“

4. **გამეორებითი ქარგა.**

მაგ: „- ვინ აკაკუნებს ჩემს ფანჯარაზე?

- ეს მე ვარ, - ამბობს კატა;

- ეს მე ვარ, - ამბობს ვირთხა;

- ვინ აკაკუნებს ჩემს ფანჯარაზე?

- ეს მე ვარ, - ამბობს ჩხიკვი;

-ეს მე ვარ, - ამბობს ქათამი...“

დიდი წიგნისთვის არსებობს ტექსტის სხვა ვარიანტებიც:

გამოცანები (გამოცანა იწერება ერთ გვერდზე, პასუხი – მეორე (გასაშლელ) გვერდზე);

ანეკდოტები (ანეკდოტის დიდი ნაწილი იწერება ერთ გვერდზე, ხუმრობის დასასრული –– მომდევნო, გადასაშლელ გვერდზე);

ცნებები (ეს შეიძლება ეხებოდეს უამრავ სხვადასხვა თემას: ცხოველებს, წელიწადის დროებს, საყვარელ ნივთებს, ცნობილ ადამიანებს, სპორტის სახეობებს და სხვ...).

მასწავლებელს შეუძლია, აირჩიოს ტექსტის სხვადასხვა ვარიანტი, რათა კითხვის პროცესი უფრო საინტერესო და სახალისო გახადოს.

ერთობლივი კითხვა შეიძლება ჩაუტარდეს მთელ კლასს ან მცირე ჯგუფებს (თუ კლასში შექმნილია რამდენიმე მცირე ჯგუფი, რომელიც სხვადასხვა სამუშაოზე მუშაობს).

მეთოდის მსვლელობა

შემოიკრიბეთ ბავშვები წიგნთან ახლოს, რომ კარგად ხედავდნენ ტექსტს და, ამავე დროს, ერთიანობის განწყობა შეექმნათ. დაამაგრეთ წიგნი დაფაზე, თვალსაჩინო ადგილას. ამრიგად, თქვენი ხელები თავისუფალია და შეგიძლიათ მიადევნოთ ტექსტს, რომელსაც კითხულობთ. გამოიყენეთ საჩვენებელი ჯოხი, რომ მიუთითოთ ყოველი სიტყვა, რომელსაც კითხულობთ. სცადეთ, წაიკითხოთ ტექსტი გაბმულად და თავისუფლად. გახსოვდეთ, თქვენ უნდა მისცეთ მაგალითი ბავშვს და ასწავლოთ, როგორია გამართული კითხვა.

დაიწყეთ წიგნის მიმოხილვა. ესაუბრეთ ბავშვს იმის შესახებ, თუ რას მოისმენს. თავდაპირველად წაიკითხეთ სათაური. თხზულების გაცნობა დაიწყეთ სათაურის განხილვით, გარეკანით და სათაურის გვერდით. თუ წიგნი დასურათებული გაქვთ, შეგიძლიათ ბავშვებთან ერთად ახსნათ სურათი. ე.ი. ჯერ აჩვენეთ სურათი და სთხოვეთ, გამოთქვან ვარაუდი, რაზე იქნება საუბარი.

შემდეგ წაიკითხეთ ტექსტი ხმამაღლა და გამომეტყველებით, თითქოს ხელს აყოლებთ სიტყვას, ფრაზას, რომელსაც კითხულობთ. წაიკითხეთ ცოცხალი ხმით, არც ძალიან ჩქარა და არც ძალიან ნელა, ისე რომ ბავშვმა შეძლოს, თვალი მიადევნოს თქვენ მიერ წაკითხულ სიტყვებს.

შეგიძლიათ შეყოვნდეთ, ვითომ შეთხვევით და სთხოვოთ მოსაწავლეებს, გიკარნახონ მომდევნო სავარაუდო სიტყვა ან ფრაზა, ან წინასწარ გითხრან, რა მოხდება შემდეგ.

შეგიძლიათ მონაცვლეობით, ბავშვებთან ერთად წაიკითხოთ ტექსტი. ასევე, შეგიძლიათ, ერთხმად წაიკითხოთ გვერდი: ბავშვებთან ერთად კითხულობთ იმ სიტყვებს, რომლებსაც თქვენ მიუთითებთ. ტექსტის წაკითხვის კიდევ ერთი საშუალება არსებობს – ექოს ტიპის გუნდური კითხვა: თქვენ კითხულობთ ხაზს და შემდეგ მოსწავლეები ერთხმად „კითხულობენ“ იმავე ხაზს, თქვენ კი ამ დროს უთითებთ სიტყვებს (სინამდვილეში ბავშვები კი არ კითხულობენ, არამედ ამოიცნობენ სიტყვებს).

მოსწავლებს სთხოვეთ, ტექსტის დასრულების შემდეგ უპასუხონ იმავე ტექსტის შესახებ დასმულ კითხვებს. ეს შეიძლება იყოს ღია (სააზროვნო) კითხვები.

შეგიძლიათ მეორე დღეს გამოიყენოთ იგივე ტექსტი. ხელმეორედ წაიკითხოთ მთელ ჯგუფთან ერთად ან ინდივიდუალურად. გამოიყენეთ კითხვის სახალისო ფორმები; მაგ. პირველი სტრიქონი წაიკითხონ გოგონებმა, მეორე - ბიჭებმა; ან წაიკითხოს მან, ვისაც ძმა ჰყავს, ან ვისაც და ჰყავს; წაიკითხოს მან, ვინც დილით ფაფა ჭამა; ვისაც ფისო (ძაღლი) ჰყავს; ვისაც ცისფერი თვალები აქვს და ა.შ.

აირჩიეთ ორი-სამი დავალება ქვემოთ მოცემული დავალებების სიიდან. ტექსტზე სამუშაოდ შეგიძლიათ მოიფიქროთ სხვა სავარჯიშოებიც.

მასწავლებელს შეუძლია:

- დააფაროს სიტყვას ხელი ან ბარათი და სთხოვოს მოსწავლეს, კონტექსტის მიხედვით მიხვდეს, რა იმალება ბარათის უკან. ასევე, შესაძლებელია, აჩვენოს სიტყვის პირველი ასო ან პირველი ორი ასო, სთხოვოს ბავშვს, კონტექსტის მიხედვით გამოიცნოს, რა სიტყვაა და ა.შ.
- დაწეროს 4 - 5 წინადადება ტექსტიდან ქაღალდის გრძელ, ვიწრო ფურცლებზე და ბავშვს სთხოვოს მათი დალაგება მაგნიტურ დაფაზე ან ჯიბეებიან ტილოზე (შეგიძლიათ ტილოს ნაჭრით წინასწარ შეკეროთ ჯიბეებიანი საკიდი);
- დაჭრას ნაწილ-ნაწილ წინადადება და ბავშვს სთხოვოს მათი სწორად დაწყობა;
- მას შემდეგ, რაც მოსწავლეებს დაუგროვდებათ გარკვეული რაოდენობის სიტყვების მარაგი (რომლებსაც ამოიცნობენ), მასწავლებელს შეუძლია, აურიოს სიტყვის ბარათები და ბავშვებს სთხოვოს, დაუკავშირონ ეს სიტყვები ტექსტში არსებულ სიტყვებს, ან იმ სიტყვებს, რომლებიც იმავე ასოთი იწყება, ან რითმულად ერთნაირად ჟღერს, ან ერთნაირ მარცვლებს შეიცავს და ა.შ. ააგონ ,,სიტყვების კედელი“ (კედელზე ჩამოამწკრივონ რაღაც ნიშნის მიხედვით მსგავსი სიტყვები) და ყოველდღიურად ივარჯიშონ მათ ამოცნობაში;
- სთხოვოს მოსწავლეებს; მოინიშნონ სიტყვები, რომლებიც რომელიმე საგანს აღწერს, ან გამოხატავს ვიღაცის გრძნობას, ვიღაცის ნამოქმედარს და ა.შ.
- აურიოს პატარა ბარათები, რომლებზეც გამოსახულია ასოები და ბავშვებს სთხოვოს, ტექსტში მოიძიონ იგივე ასოები;
- აუხსნას პუნქტუაციის ფუნქცია.

წიგნის ერთობლივი კითხვის მოკლე ინსტრუქციები

მოემზადეთ ერთობლივი კითხვისათვის. ყურადღებით შეარჩიეთ გაკვეთილისთვის ტექსტი. დაამზადეთ წიგნი, რომელსაც რამდენჯერმე გამოიყენებთ (მრავალჯერადად მოიხმართ). დამწყები მკითხველებისათვის ტექსტი შეიძლება იყოს სიმღერა ან ზღაპარი, რომელიც ადვილად საამბობია. სასურველია, გამოიყენოთ იმგვარი ინფორმაციის მომცველი თემა, რომელიც ბავშვებს აინტერესებთ. დაწერეთ ტექსტი დიდი ასოებით, რომ მოსწავლეებმა შორიდან შეძლონ ,, წაკითხვა". გააფორმეთ ტექსტი ილუსტრაციებით.

პირველი წაკითხვა:

1. წინასწარ მიმოიხილეთ ტექსტი მოსწავლეებთან ერთად. წაიკითხეთ სათაური და ავტორი. თუ ბავშვები დამწყები მკითხველები არიან, აუხსენით, რომ სათაური არის წიგნის სახელწოდება; რომ ეს სათაური გვეუბნება, თუ რაზე იქნება წიგნი. ჰკითხეთ მათ, რას ეუბნება სათაური; სთხოვეთ, ამ სათაურის მიხედვით ივარაუდონ, რაზე იქნება ტექსტში საუბარი. თქვენი მხრივ, შეავსეთ საუბარი თქვენი ,,ხმამაღალი ნაფიქრით")თქვენ მიერ წარმოთქმული აზრები ტექსტზე დაფიქრების მოდელირებას ახდენს).

2. წაიკითხეთ ავტორის სახელი (თუ, რა თქმა უნდა, ის მოცემულია). აუხსენით, რომ ავტორი არის პიროვნება, რომელმაც ეს წიგნი დაწერა; ჰკითხეთ, რა სმენიათ მის შესახებ.

3. უთხარით, რას ისწავლიან ამ გაკვეთილიდან, რას უნდა მიაქციონ ყურადღება.

4. „ კვლავ წაიკითხეთ სათაური და აჩვენეთ ბავშვებს ყდის ილუსტრაცია. მოსწავლეებს სთხოვეთ, ამ ილუსტრაციის მიხედვით, წინასწარ გამოთქვან ვარაუდი, რის შესახებ გვიამბობს წიგნი, ან რა შეიძლება ისწავლონ ტექსტიდან.

5. წარუდგინეთ წიგნი ბავშვებს რაიმე სახალისო გზით. მაგ. გამოიყენეთ აქტივობა „გასეირნება ილუსტრაციებში" - თუ წიგნი დასურათებულია, აჩვენეთ ილუსტრაციები და მოსწავლეებთან ერთად, სურათების მეშვეობით გადმოეცით ამბავი.

6. შემდეგ წაიკითხეთ ტექსტი ცოცხალი ხმით, გამომეტყველებით. გააყოლეთ ხელი ფრაზებსა და სიტყვებს, რომლებსაც კითხულობთ – არც ძალიან ჩქარა, არც ძალიან ნელა. ყურადღება მიმართეთ ტექსტის არსზე.

7. შეყოვნდით, რათა განმარტოთ ტექსტის მონაკვეთი, რომელიც წაიკითხეთ. აქცენტი წაკითხულის არსზე გააკეთეთ. დაიმახსოვრეთ, რომ ბავშვს თქვენ უნდა მისცეთ თავისუფალი კითხვის, დაინტერესებული და მოაზროვნე მკითხველის მაგალითი. სთხოვეთ ბავშვებს, თავადაც გააკეთონ კომენტარები.

8. შეჩერდით და ბავშვებს სთხოვეთ, ივარაუდონ ტექსტის გაგრძელება, განსაკუთრებით სანამ ახალ გვერდზე გადახვალთ. როდესაც კითხვას დაასრულებთ, კომენტარი გააკეთეთ წინასწარ მოსწავლეების მიერ გამოთქმულ იმ ვერსიებზე, რომლებიც გამართლდა.

9. კითხვის დასრულების შემდეგ ჰკითხეთ მოსწავლეებს, რა განწყობა შეექმნათ, ან რაზე დაფიქრდნენ და რატომ?

შეგიძლიათ შემდეგ გაკვეთილებზე ისევ მიუბრუნდეთ ტექსტს:

1. კვლავ წაიკითხეთ ტექსტი, მოიწვიეთ მოსწავლეები, რომ თქვენთან ერთად წაიკითხონ: თქვენ კითხულობთ გარკვეულ წინადადებებს და ბავშვები იმეორებენ. სთხოვეთ, თქვენთან ერთად, ჯგუფურად წაიკითხონ ტექსტი –– თქვენც და ბავშვებიც ერთდროულად კითხულობთ.

2. მოიწვიეთ მოსწავლეები რათა თეატრალიზებურად წაიკითხონ ტექსტი, ჟესტიკულაციითა და სახის მიმიკით მიყვნენ მოქმედებას.

3. დატოვეთ ტექსტი კლასში, რათა ბავშვებმა შეძლონ დამოუკიდებლად წაკითხვა. თუ შესაძლებელი იქნება, ტექსტის პატარა ვერსიები დაურიგეთ მოსწავლეებს, რათა შეძლონ კითხვაში ვარჯიში. მათ შეუძლიათ იკითხონ ინდივიდუალურად, პარტნიორთან ერთად, მორიგეობით, ან როგორც ერთმა მთლიანმა ჯგუფმა.

მნიშვნელოვანი სიტყვები

მეთოდის შესახებ

მდიდარი ლექსიკური მარაგი პირდაპირ არის დაკავშირებული ტექსტის გააზრებასა და სიღრმისეულ წვდომასთან, რადგანაც თუ მოსწავლისათვის გაუგებარია ტექსტში მოცემული კონკრეტული სიტყვის მნიშვნელობა, ბუნებრივია, უფრო მეტად ბუნდოვანია აზრი. ეს კი ყველაზე თვალსაჩინოდ ვლინდება აღწერით (ექსპოზიტორულ) ტექსტებზე მუშაობის დროს, რომელთა მიზანია საგნობრივი ცოდნის შეძენა ბუნებისმეტყველების, ისტორიის, ხელოვნების ამა თუ იმ საკითხებზე, აქედან გამომდინარე, მათში გვხვდება სპეციალიზებული ან სპეციფიკური ტერმინოლოგია.

იმის გამო, რომ მდიდარი ლექსიკა მნიშვნელოვნად განაპირობებს გაგებას, სიტყვებზე მუშაობას, სასურველია, საგანგებო ყურადღება დაეთმოს სწავლების დროს. საამისოდ კი მხოლოდ ყურადღება საკმარისი არ არის. აუცილებელია, დაიგეგმოს და განხორციელდეს კონკრეტული აქტივობები. ჩვენ მიერ შემოთავაზებული მეთოდი „მნიშვნელოვანი სიტყვები“ სწორედ ამ მხრივ არის საინტერესო. ის ეფექტურად გამოიყენება აღწერით ტექსტებზე მუშაობისას, როგორც დაწყებით, ისე საბაზო საფეხურზე.

მეთოდის მიზანია, მოსწავლეებს განუვითარდეთ არამხოლოდ ახალ სიტყვებზე მუშაობისა და სხვადასხვა კონტექსტში მათი ადეკვატურად გამოყენების უნარ-ჩვევა, არამედ შეძლონ ტექსტის გაგება და მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გარჩევა.

მეთოდის გამოყენების შედეგად, მოსწავლეები დაწყებით საფეხურზე:

- აქტიურად ერთვებიან კითხვის პროცესში;
- დამოუკიდებლად და ინტერესით ეცნობიან სხვადასხვა თემაზე შექმნილ არამხატვრულ ტექსტებს;
- გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებას წაკითხული ტექსტის მიმართ, ავლენენ ესთეტიკური და ეთიკური შეფასების სურვილს;
- ახერხებენ ტექსტში მნიშვნელოვანი და ნაკლებმნიშვნელოვანი სიტყვების გამოყოფას და სხვადასხვა ტიპის აქტივობებში მათ სწორად და ადეკვატურად გამოყენებას;
- უმდიდრდებათ ლექსიკური მარაგი;
- უვითარდებათ მსჯელობის, წაკითხული ტექსტის გაგებისა და ანალიზის უნარები.

ხოლო საბაზო საფეხურის ბოლოს, ზემოთ ჩამოთვლილთან ერთად:

- კითხულობენ და აანალიზებენ სხვადასხვა პერიოდის, ქვეყნისა და კულტურის ტექსტებს მათში ასახული ინფორმაციის, თემებისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით;

- მნიშვნელოვან სიტყვებზე დაკვირვების საფუძველზე, ახერხებენ ინფორმაციის კატეგორიზებას, დახარისხებას მთავარ და მეორეხარისხოვან ინფორმაციად.

მეთოდის გარკვეული სიხშირით გამოყენების შემდეგ, თქვენ თავად დაინახავთ მნიშვნელოვან წინსვლას აღწერითი ტექსტების გაგებისა და გააზრების მხრივ. ქვემოთ განხილული მსვლელობის გაცნობისას, მიხვდებით, რომ აღნიშნული მეთოდი ძალიან მარტივად შეიძლება განახორციელოთ.

მეთოდის გამოყენება სასწავლო პროცესში

თუკი გადაწყვეტთ ამ მეთოდის გამოყენებას სასწავლო პროცესში, პირველ რიგში, შეარჩიეთ აღწერითი ტიპის ტექსტი. მისი მოცულობა და სირთულე დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ საფეხურსა და ასაკობრივ ჯგუფთან გეგმავთ გაკვეთილის ჩატარებას. მაგალითად: თუ მესამეკლასელთათვის გჭირდებათ ტექსტი, მაშინ, სასურველია, ის არ შეიცავდეს 100 - 150 სიტყვაზე მეტს და უცნობი ან რთული სიტყვების რაოდენობა არ აღემატებოდეს 6 - 7 სიტყვას. სამუშაოდ ყველა მოსწავლისათვის გაამზადეთ ტექსტის თითო ეგზემპლარი და 10 ცალი წებოვანი ბარათი ე.წ. „სტიკერი“. ჯგუფური მუშაობისათვის მოიფიქრეთ სხვადასხვა ტიპის დავალებები (იხ. ქვემოთ), თითოეული დაწერეთ ერთი ფერის იმდენ ბარათზე, რამდენკაციანიც უნდა იყოს ჯგუფი. გაამზადეთ დაფა ან დიდი ფორმატის ქაღალდი სიტყვების კედლის შესაქმნელად.

დაფიქრდით, რითი შეძლებთ ტექსტზე მუშაობის დაწყებამდე სასურველი განწყობის შექმნას, მოსწავლეთა დაინტერესებასა და კონკრეტულ საკითხზე არსებული წინარე ცოდნის გააქტიურებას. ამის განხორციელება შესაძლებელია კითხვების დასმით, „გონებრივი იერიშით“, „ასოციაციური რუკითა“ და ა.შ. სასურველია, თქვენ მიერ გამოყენებული მეთოდი გაამრავალფეროვნოთ თვალსაჩინოებით: ფოტოსურათით, ილუსტრაციით ან სხვა ნებისმიერი ვიზუალური მასალით.
მაგალითად: შეიტანეთ ტექსტი უძველესი ტომის – ინკების ცხოვრებაზე.

ინკები

ინკები ანუ „მზის შვილები“ ინდიელთა უძველესი ტომი იყო. XI-XII საუკუნეებში ისინი სამხრეთ ამერიკაში დღევანდელი პერუს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. მეცნიერების მოსაზრებით, ტიტიკაკას ტბის სანაპიროზე უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ ინდიელთა ტომები. ერთ-ერთმა ტომმა, კეჩუამ მიატოვა ეს ადგილები და ჩრდილო-დასავლეთისკენ, მდინარის ნაპირას დასახლდა. 100 წლის შემდეგ კეჩუას ტომმა დააარსა ქალაქი, რომელიც ინკების სახელმწიფოს დედაქალაქი გახდა. ამ ქალაქს ერქვა „ხოსხო“, რაც მათ ენაზე „ცენტრს“, „ჭიპს“, ამ შემთხვევაში კი, დედამიწის ცენტრს ნიშნავდა. ამ ტომმა თავისი მმართველობის ქვეშ გააერთიანა მეზობელი ტომები და მაღალგანვითარებული იმპერია შექმნა.

მოგვიანებით, როდესაც ინკების სახელმწიფო კონკისტადორებმა დაიპყრეს (ისინი გაღატაკებული ესპანელი ვაჭრები და ოქროს მაძიებლები იყვნენ), ამ ქალაქის სახელი შეცვალეს და მას „კუსკო“ უწოდეს. იგი ისტორიაში დღემდე ასე მოიხსენიება. კუსკოში ინკებმა ააგეს შესანიშნავი ტაძრები. ისინი მზის თაყვანისმცემლები იყვნენ და სწორედ ამიტომ ყველაზე ლამაზი და დიდებული მათ ქალაქში მზის ტაძარი იყო, რომელშიც მხოლოდ მმართველს, ინკას, ჰქონდა შესვლის უფლება. ტაძრის შიდა ნაწილი და ეზო ოქროთი და ძვირფასი თვლებით შემკული ფიგურებით იყო მორთული .
ცნობილია, რომ ინკები კარგად ფლობდნენ ასტრონომიას, გეომეტრიას, გეოგრაფიას, ქირურგიას, აგრონომიას და ა.შ. ამას მოწმობს თუნდაც მათი კალენდარი, რომლის მიხედვითაც, წელიწადი იყოფოდა ოთხ დროდ და მთვარის 12 თვედ. თვეში კი 29 დღე იყო. წლის ბოლოსთვის უმატებდნენ რამდენიმე დღეს, რაც მათი გამოთვლით სრულ წელს აკლდა. ეს იყო თანამედროვე კალენდრის 30-ე და 31-ე დღეები.

ინკები მთებში აგებდნენ ქალაქებს, კარგად ფლობდნენ გზების მშენებლობის ტექნიკასაც. განავითარეს მესაქონლეობა, სოფლის მეურნეობა და ირიგაცია (მორწყვის სისტემა). მოჰყავდათ კარტოფილი, ქერი. მოშინაურებული ჰყავდათ ლამა, რადგანაც სამხრეთ ამერიკის მთებში ცხენები არ იყო. მცენარე პომიდორიც ინკებიდან მომდინარეობს. თვით სახელწოდება „ტომატი“ ინკური სიტყვიდან, „ტომატლიდან“ მომდინარეობს. აქედან გავრცელდა იგი ევროპაში, სადაც მას მეორე სახელი „პომო დორო“ შეარქვეს, რაც იტალიურად „ოქროს ვაშლს“ ნიშნავს. ევროპელები ამ ნაყოფს დიდხანს არ მიირთმევდნენ და მხოლოდ დეკორატიული დანიშნულებით გამოიყენებდნენ.

ინკების განვითარების მაღალ დონეზე მეტყველებს ისიც, რომ მათ საკუთარი ენა ჰქონდათ, უკრავდნენ სასულე და დასარტყამ ინსტრუმენტებზე, კერამიკისა და სხვა მასალისაგან ამზადებდნენ ულამაზეს ჭურჭელსა და სხვადასხვა ორნამენტით შემკულ ნივთებს; მოიპოვებდნენ და ამუშავებდნენ ოქროსა და ვერცხლს.

ინკების იმპერია ძალზე დიდი და ძლევამოსილი იყო, მაგრამ მასში მცხოვრებ ტომებს შორის არ არსებობდა ერთიანობა, რითაც ისარგებლეს ევროპელებმა. კერძოდ, XVI საუკუნის დასაწყისში დაიწყო ესპანელთა შემოსევები. მათ სურდათ, ხელში ჩაეგდოთ ინკების სიმდიდრე, რასაც მიაღწიეს კიდეც. ასე დაეცა და განადგურდა ინკების ერთ დროს მდიდარი და უძლეველი იმპერია.

განწყობის შესაქმნელად, შესაძლებელია აჩვენოთ ფოტო, რომელზეც ინკების ქალაქის ნანგრევებია გამოსახული, დასვათ კითხვები:

– რას ხედავთ ფოტოზე?

– ვინმეს ხომ არ უნახავს ეს ფოტო?

წარმართეთ მცირე დისკუსია ამ თემაზე.

მას შემდეგ, რაც კლასში შეიქმნება სათანადო განწყობა, აჩვენეთ მოსწავლეებს ტექსტი და აუხსენით მათ, რომ ამ ტექსტზე მუშაობა მოუწევთ მეთოდის გამოყენებით, რომელსაც „მნიშვნელოვანი სიტყვები“ ეწოდება. უთხარით, რომ ამ მეთოდის მიხედვით მუშაობა მათ ძალიან წაადგებათ, როგორც ახალი ან მნიშვნელოვანი სიტყვების დამახსოვრებაში, ასევე, ტექსტის შინაარსის უკეთ გაგებაშიც. გააფრთხილეთ, რომ მათ დაურიგდებათ ტექსტი ათ ბარათთან ერთად. წინასწარ განსაზღვრულ დროში (დრო განისაზღვრება ტექსტის სიდიდისა და სირთულის გათვალისწინებით) ყურადღებით უნდა წაიკითხონ იგი და ბარათებზე ამოწერონ მათი აზრით, ტექსტის შინაარსის გასააზრებლად ყველაზე მნიშვნელოვანი ათი სიტყვა (თითო ბარათზე იწერენ თითო სიტყვას). თუკი მოგეჩვენებათ, რომ ამ მეთოდის განხორციელების პირველ ეტაპზე 10-10 სიტყვის დახარისხება დიდ დროს წაგართმევთ, შეგიძლიათ ჯერ სიტყვათა უფრო ნაკლები რაოდენობით დაიწყოთ (5 - 6 სიტყვა) და ნელ-ნელა გაზარდოთ მათი ოდენობა 10 - მდე.

როდესაც ყველა მოსწავლე დაასრულებს ტექსტზე მუშაობას, სთხოვეთ ორ მათგანს, დაფაზე ან წინასწარ მომზადებულ დიდი ფორმატის ქაღალდზე (ქაღალდი უმჯობესია იმ თვალსაზრისით, რომ მოგვიანებით შეძლებთ, ეს სიტყვები გამოაკრათ საკლასო ოთახში, რაც საშუალებას მოგცემთ, თავისუფალ დროს არაერთხელ მიუბრუნდეთ მათ) დაიწყონ სიტყვების სვეტების შექმნა. პირველი მოსწავლე ჰორიზონტალურად განათავსებს თავის ბარათებს, მეორე კი სიტყვებს, რომლებიც მის ბარათებზეც მეორდება, პირველის ქვემოთ მიაკრავს (ანუ დაიწყებს ვერტიკალური სვეტის შექმნას), ხოლო დანარჩენს ისევ ჰორიზონტალურ რიგში განათავსებს. მომდევნო ეტაპზე, როდესაც ყველა მოსწავლე ანალოგიური პრინციპის გამოყენებით განალაგებს სიტყვებს დაფაზე (ან ფორმატზე), დაითვალეთ თითოეული სიტყვა რამდენჯერ მეორდება, ანუ მოახდინეთ მათი რანჟირება და გამოავლინეთ ყველაზე რეიტინგული სიტყვები.

დააკვირდით მიღებულ შედეგებს და წარმართეთ დისკუსია შემდეგ საკითხებზე:

– რომელი სიტყვები შეირჩა ყველაზე ხშირად? რატომ?

– როგორ ფიქრობთ, რომ არ ყოფილიყო სიტყვა „ტომი“, მოაკლდებოდა თუ არა მნიშვნელოვანი ინფორმაცია ტექსტს?

– თქვენი აზრით, ყველაზე ნაკლებრეიტინგულ სიტყვებს რა დატვირთვა აქვთ ტექსტში? და ა.შ.

ამგვარი დისკუსია დაეხმარება მოსწავლეებს, კიდევ ერთხელ მიუბრუნდნენ შერჩეულ სიტყვებს, გაითავისონ და გაიაზრონ მათი მნიშვნელობები და უკეთ ჩაწვდნენ ტექსტის შინაარსს. ამ მხრივ, ასევე მნიშვნელოვანია გაკვეთილის შემდგომი ეტაპი, სადაც მათ უკვე ჯგუფური მუშაობა მოუწევთ.
დაურიგეთ მოსწავლეებს წინასწარ დამზადებული ფერადი ბარათები, რომლებზეც უკვე მოცემულია კონკრეტული დავალებები. სთხოვეთ მათ, დაჯგუფდნენ ბარათების ფერთა მიხედვით, შეურჩიეთ ან შეარჩევინეთ სიტყვების კედლიდან სიტყვა/სიტყვები, რომლის გამოყენებითაც უნდა შეასრულონ დავალებები და მიეცით კონკრეტული დრო ამ სამუშაოს შესრულებისათვის. ჯგუფების რაოდენობა ინდივიდუალურად უნდა განსაზღვროთ. სასურველია, ჯგუფში მოსწავლეთა ოდენობა 4 - 5-ს არ აღემატებოდეს.

დავალებები ჯგუფებისათვის:

- გააკეთეთ ამ სიტყვის „ასოციაციური რუკა“;
- მიუბრუნდით ტექსტს და ამოიწერეთ წინადადება ან წინადადებები, სადაც ეს სიტყვაა გამოყენებული;
- ამ სიტყვის გამოყენებით შეადგინეთ ოთხი, ერთმანეთისგან შინაარსით განსხვავებული წინადადება;
- დაფიქრდით, სად შეიძლება შეგხვდეთ ან გაიგონოთ ეს სიტყვა;
- ჩამოწერეთ ამ სიტყვის სინონიმები (ან ანტონიმები);
- დახატეთ ორი ან მეტი ილუსტრაცია, რომელიც გამოხატავს ამ სიტყვის მნიშვნელობას;
- სხეულის მოძრაობით განასახიერეთ ეს სიტყვა;
- დასვით კითხვები ამ სიტყვის გამოყენებით.

მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში და ასრულებენ ზემოთ მოცემული ჩამონათვალიდან მხოლოდ ერთი ტიპის დავალებას. შეარჩევენ პრეზენტატორს და აკეთებენ პრეზენტაციას. უმჯობესია, თითოეული ჯგუფური ნამუშევრის წარდგენის შემდეგ დასვათ კითხვები:

– რამდენად საინტერესო იყო ამ დავალების შესრულება?

– რა სახის სირთულეებს წააწყდით მუშაობის დროს? და ა.შ.

გაითვალისწინეთ, რომ რაც უფრო მეტი დრო დაეთმობა სიტყვებზე მუშაობას და მეტ სიტყვას გამოიყენებთ სიტყვების კედლიდან, მით უფრო მაღალი იქნება ტექსტის გაგების დონე. ამიტომ თუ დრო მოგცემთ ამის საშუალებას, ამუშავეთ ჯგუფები

იმავე დავალებებზე, ამჯერად უკვე სხვა სიტყვების გამოყენებით, ან მიეცით ახალი დავალებები, ან დავალებები ჯგუფებს შორის გადაანაცვლეთ და ა.შ.

ამგვარად, ჯგუფური ნამუშევრების განხილვის დასრულების შემდეგ, შესაძლებელია, საკითხი სხვადასხვაგვარად შეაჯამოთ: დააწერინოთ 5 წთ-იანი ესსე. მაგალითად: „ვინ იყვნენ ინკები?“ ან „რა შექმნეს ინკებმა მნიშვნელოვანი და საინტერესო?“ ან მოკლე რეზიუმე იმისა, თუ რა შეისწავლეს. ასევე, შესაძლებელია, დაასურათებინოთ ტექსტი. საშინაო დავალებად კი სთხოვეთ, მოიძიონ დამატებითი ინფორმაცია აღნიშნულ საკითხზე.

დაფიქრდი, დაწყვილდი, გაუზიარე

მეთოდის შესახებ

„დაფიქრდი — დაწყვილდი — გაუზიარე“ არის მეთოდი, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეს, ჩამოაყალიბოს საკუთარი აზრი და გაუზიაროს ის სხვებს. იგი ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მეთოდია, რომელიც:

- ავითარებს მოსწავლეთა ზეპირმეტყველების, კომუნიკაციის, შეჯამებისა და დასკვნების გაკეთების უნარ-ჩვევებს;
- აყალიბებს ანალიტიკურ აზროვნებას;
- აჩვევს მოსწავლეებს სხვათა აზრის პატივისცემას, მოსმენასა და თანამშრომლობას;
- განაპირობებს მოსწავლეთა ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში.

მეთოდი სამსაფეხურიანია და თითოეულ საფეხურზე კონკრეტულად არის განსაზღვრული მოსწავლეთა საქმიანობა:

I. დაფიქრდი – მოსწავლეები ინდივიდუალურად ფიქრობენ დასმულ შეკითხვაზე;
II. დაწყვილდი – მოსწავლეები წყვილდებიან და განიხილავენ მოფიქრებულ პასუხს;
III. გაუზიარე – მოსწავლეები წყვილებში განხილულ პასუხს კლასს უზიარებენ.

მეთოდის მსვლელობა

ეს მეთოდი შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვადასხვა საგანში, სწავლების ნებისმიერ საფეხურზე. ეფექტურია ორივე ტიპის ტექსტებთან სამუშაოდ: შეგიძლიათ მოარგოთ როგორც ნარატიულ, ასევე აღწერითი ხასიათის ნაწარმოებებს. გამოიყენება წაკითხვამდე, კითხვის პროცესში და კითხვის შემდეგ.

იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ეფექტურად შეძლონ ამ მეთოდის დახმარებით ტექსტების დამუშავება, ესაუბრეთ მათ მეთოდის შესახებ. უთხარით, რომ „დაფიქრდი — დაწყვილდი — გაუზიარე“, როგორც ეს სახელწოდებიდან ჩანს, 3 საფეხურს მოიცავს. აუხსენით, რა მოეთხოვებათ თითოეულ საფეხურზე.

თავდაპირველად შეარჩიეთ ტექსტი, მოიფიქრეთ და დასვით შეკითხვა გამოწვევისათვის, რომელიც უშუალოდ უკავშირდება შესასწავლ საკითხს/თემას.

კითხვის დასმა და მათზე პასუხის ძიება სასწავლო პროცესის ერთ-ერთი

უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. შეკითხვის დასმა საგრძნობლად ააქტიურებს საკითხის შესწავლის მოტივაციას, ჩართულობას. ეხმარება მოსწავლეს, განსაზღვროს მოცემული ტექსტის წაკითხვის მიზანი. ჩვენ კი გვეხმარება, განვსაზღვროთ მოსწავლეთა გაგების დონე.

თუმცა შეკითხვის დასმას ახლავს ორი პრობლემა:

მოსწავლეთა პასიურობა: როცა კითხვას ვსვამთ მთელი კლასის წინაშე, მოსწავლეთა მცირე რაოდენობას, ზოგჯერ კი არავის სურს თავისი ნებით პასუხის გაცემა. კითხვაზე პასუხს სცემენ აქტიური მოსწავლეები, მორცხვი და პასიური მოსწავლეები კი, როგორც წესი, თვალს გვარიდებენ.

პასუხის მოსაფიქრებლად არასწორად განსაზღვრული დრო: კითხვის დასმის შემდეგ მასწავლებელი, დაახლოებით, ერთ წამის შემდეგ ითხოვს პასუხს. როგორც კი ერთ-ერთს გამოიძახებენ, დანარჩენი ფიქრს წყვეტს. მოსწავლეთა უმრავლესობა ფიქრობს, ცოტაა იმის ალბათობა, რომ პასუხს სწორედ მას მოსთხოვენ, ამიტომ პასუხზე ფიქრს თავს არიდებენ.

ამ ორი პრობლემის გადაჭრას გვთავაზობს „დაფიქრდი — დაწყვილდი — გაუზიარე“. მეთოდის სპეციფიკიდან გამომდინარე, (იმის გათვალისწინებით, რომ თავდაპირველად მოსწავლე პასუხს მეწყვილეს უზიარებს, შემდეგ კი მთელ კლასს), მოსწავლეს აქვს პასუხისმგებლობა მეწყვილისა და კლასის წინაშე: კონკრეტულად გამოყოფილი დროის შემდეგ მოსწავლე ან მისი მეწყვილე ვალდებულია, წარადგინოს როგორც საკუთარი, ასევე პარტნიორის ნააზრევი.

აქედან გამომდინარე, ეს მეთოდი ყველა მოსწავლეს აქტიურად რთავს საგაკვეთილო პროცესში.

დაფიქრდი

პირველ ეტაპზე მოსწავლეები ფიქრობენ თავიანთ პასუხზე. ეს არის დრო, რომელიც გამოყოფილია ე.წ. „ჩუმი ფიქრისათვის“, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეს, კარგად მოიფიქროს და ჩამოაყალიბოს პასუხი. შეკითხვის სირთულიდან გამომდინარე, მოსწავლეს მოსაფიქრებლად შეიძლება მიეცეს 10 წამიდან 2 წუთამდე.

მოსწავლე პასუხის ჩამოყალიბებას ცდილობს არსებული (წინარე) ცოდნის გააქტიურებით.

ამ საფეხურზე მოსწავლეებს უვითარდებათ პასუხისმგებლობის გრძნობა. მოსწავლეები ცდილობენ, კარგად ჩამოაყალიბონ სათქმელი/პასუხი, ვიდრე დაიწყებენ პარტნიორთან დისკუსიას. შეგიძლიათ იაროთ კლასში და დააკვირდეთ, თუ რას წერენ (იმ შემთხვევაში, თუ მუშაობენ სამუშაო ფურცელში), ან მოუსმინოთ მათ საუბარს, რათა გაარკვიოთ, რომელ მათგანს ესმის საკითხის არსი. ეს გაუქარწყლებს მოსწავლეებს სურვილს, ისხდნენ პასიურად, მეწყვილის ნამუშევრის იმედად.

მოსწავლეებს თავიანთი აზრის დაფიქსირება წერილობითაც შუძლიათ. ამისათვის გამოიყენეთ სამუშაო ფურცელი, რომელიც მათ ინდივიდუალურად უნდა დაურიგდეთ. გაზიარების ეტაპზე, სწორედ ამ ფურცელზე დაყრდნობით შეუძლიათ პრეზენტაციის გაკეთება. ფურცელს, შესაძლოა, ანგარიშის სახე მისცეთ, რაც გამოგადგებათ მოსწავლეთა საბოლოო შეფასებისას (სამუშაო ფურცელი იხ. ქვემოთ).

დაწყვილდი

შემდეგ მოსწავლე უწყვილდება მის გვერდით მჯდომს ან ერთიანდება ჯგუფში. თუ თქვენ შესთავაზებთ მეწყვილის თავისი ნებით შერჩევას, ისინი პოპულარულ მოსწავლეებს ამჯობინებენ, ამიტომ წინასწარ განსაზღვრეთ წყვილში მოსწავლეთა ვინაობა.

რამდენიმე წუთის განმავლობაში (დაახლ. 1-3 წუთი) მოსწავლეები განიხილავენ თავიანთ იდეებს, პასუხებს.

როგორც ცნობილია, მოსწავლეებს საკითხის გააზრებაში ეხმარება საუბარი/ დისკუსია. საუბრის დროს მოსწავლეები თავიანთ პასუხებზე ხელახლა ფიქრობენ და ახალი იდეები ებადებათ.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბავშვი, რომელიც სიმორცხვის გამო თავს იკავებდა პასუხის გაცემისაგან, მეწყვილესთან მაინც განიხილავს თავის იდეას. ეს არის ერთ-ერთი საშუალება, რომ მოსწავლე გახდეს თავდაჯერებული, თავის შეხედულებებზე თამამად ისაუბროს.

თუ შენიშნავთ, რომ წყვილიდან რომელიმე მოსწავლე დიალოგში ერთპიროვნულად დომინირებს, შეგიძლიათ ჩაერიოთ და რეგლამენტის რეჟიმზე გადაიყვანოთ. ამ შემთხვევაში, თქვენ აძლევთ თითოეულ მეწყვილეს გარკვეულ სალაპარაკო დროს. მაგ. მოსწავლე №1 და №3 იწყებენ დისკუსიას. 60 წამის შემდეგ წყვეტენ და სთხოვთ დანარჩენებს, თავიანთი აზრები გამოთქვან.

გაუზიარე

მას შემდეგ, რაც წყვილები ერთმანეთის პასუხებს მოისმენენ, რასაც 3 წუთზე მეტი დრო არ უნდა დაუთმოთ, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, თავიანთი აზრი კლასს გაუზიარონ.

მოსწავლეებს უფრო მეტი სურვილი აქვთ, გამოთქვან თავიანთი აზრი დაწყვილების შემდეგ, რადგან პასუხზე პასუხისმგებლობას წყვილი იყოფს. დაწყვილების შემდეგ მოსწავლეები სათქმელს უფრო ლაკონურად აყალიბებენ, რადგან ჰქონდათ საშუალება, ემსჯელათ, განეხილათ მოფიქრებული პასუხი.

გაზიარებაში მათ სამუშაო ფურცელიც ეხმარებათ, რომელიც შეჯამებისათვის გამოადგებათ, ამ სქემას, პირობითად, შესაძლოა ანგარიშის ფორმაც კი ვუწოდოთ.

სამუშაო ფურცელი

შეკითხვა	მე რა ვიფიქრე	მეწყვილემ რა იფიქრა	რა გავუზიარეთ ერთმანეთს

ჩემი სახელი: ——————————————

მეწყვილე: ——————————————

გაზიარებისათვის, შესაძლოა, გამოიძახოთ თითოეული წყვილი ან, უბრალოდ, გამოჰკითხოთ იმ მოსწავლეებს, რომელთაც ხელი აქვთ აწეული. შეგიძლიათ მოსწავლეები გამოიძახოთ შემთხვევითი შერჩევის გზით. დანომრილი ჯოხები ან ფურცლები ჩაყარეთ ქუდში, თითოეულ ნივთს მიუსადაგეთ საკლასო სიაში მოსწავლის ნომერი. ამოიღეთ რომელიმე ჯოხი/ქაღალდი და შესაბამის მოსწავლეს ჰკითხეთ, რას ამბობდა დისკუსიისას მისი მეწყვილე. უმრავლესობა ბავშვებისა, არ უსმენს ერთმანეთს. მათ მხოლოდ ის ახსოვთ, რას ლაპარაკობდნენ თვითონ. თუ გამოიყენებთ ამ სტრატეგიას, ისინი ისწავლიან პარტნიორის მოსმენას. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლემ ისევე კარგად შეძლოს საუბარი და მსჯელობა პარტნიორის იდეებსა თუ პასუხზე, როგორც საკუთარზე.

კარგი იქნება, თუ მოსწავლეთა ნააზრევი, სამუშაო ფურცლის გარდა, დიდი ფორმატის ქაღალდზე ან დაფაზე დაფიქსირდება. ამ საქმიანობაში შეგიძლიათ მოსწავლე დაიხმაროთ.

როცა დარწმუნდებით, რომ მოსწავლეებმა კარგად გაიაზრეს მიცემული კითხვა/საკითხი, გააგრძელეთ გაკვეთილი და დასვით მომდევნო შეკითხვა.

ეს მეთოდი ეყრდნობა კონსტრუქტივიზმის თეორიას. ცოდნა კონსტრუირდება, როცა პირადი გამოცდილება, წინარე ცოდნა უპირისპირდება ახალ იდეებსა და სიტუაციებს. პირველ ეტაპზე, როცა მოსწავლეებს ვთხოვთ, დაფიქრდნენ და ჩამოაყალიბონ პასუხი დასმულ შეკითხვაზე, მოსწავლეები ცდილობენ წინარე ცოდნის გააქტიურებას, რითაც მზადდება ნიადაგი ახალი ცოდნის დასაშენებლად. დაწყვილების ეტაპზე მოსწავლეები იწყებენ თავიანთი ცოდნის კონსტრუირებას დისკუსიის გზით და არკვევენ, თუ რა იციან ამა თუ იმ საკითხის შესახებ. ასეთი აქტიური პროცესი არ არის მათთვის ხელმისაწვდომი ტრადიციულ გაკვეთილებზე, როცა ისინი პასიური მსმენელების როლში გამოდიან.

ეს მეთოდი ავითარებს შემდეგ უნარ-ჩვევებს: მოსმენა, ინფორმაციის გაზიარება, სხვათა აზრის შეჯერება, პერიფრაზირება, აზრის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა. მოსწავლე პასუხისმგებელია, თავისი პასუხი/იდეა მეწყვილეს გაუზიაროს. ასევე, პასუხისმგებელია, მეწყვილის იდეა, აზრი, პასუხი სხვა წყვილს ან მთელ კლასს გაუზიაროს. ამიტომ ცდილობს, კარგად მოუსმინოს პარტნიორს, დაიმახსოვროს ინფორმაცია და სათქმელი საკუთარი სიტყვებით გადმოსცეს.

კვლევა ცხადყოფს, რომ ჩვენ გვჭირდება დრო, რათა კარგად გავიაზროთ ახალი ინფორმაცია და იდეები. როცა მასწავლებელი ერთბაშად აწვდის მოსწავლეს დიდი რაოდენობით სიახლეს, უმეტესი ნაწილი იკარგება. თუ მოსწავლეს ხშირად შევთავაზებთ ამ მეთოდს, გაკვეთილის განმავლობაში მიღებული ინფორმაციის უმეტესი ნაწილი ადვილად დარჩება მათ მეხსიერებაში.

ორიენტირებული კითხვა

მეთოდის შესახებ

ორიენტირებული კითხვა ერთ-ერთი პოპულარული მეთოდია და მას მსოფლიოს მრავალ სკოლაში იყენებენ მასწავლებლები. ორიენტირებული კითხვა მონაკვეთებად დაყოფილ ტექსტთან მუშაობას გულისხმობს და კითხვის სამივე ფაზას მოიცავს (წაკითხვამდე, კითხვის დროს, წაკითხვის შემდეგ). პირველ ფაზაზე მასწავლებელი აქტიურ როლს ასრულებს, რათა მოსწავლეები სათანადოდ მოემზადონ კითხვის დასაწყებად. ამ ფაზაზე მოსწავლეები ააქტიურებენ წინარე ცოდნას, განიხილავენ ტექსტის მნიშვნელოვან ლექსიკურ ერთეულებს (სიტყვებს, ცნებებს, ტერმინებს), აყალიბებენ ტექსტის წაკითხვის მიზანს/დანიშნულებას და, დემონსტრირებისა და პრაქტიკული ვარჯიშის გზით, ივითარებენ ეფექტური კითხვისა და გაგებისათვის საჭირო უნარებს. კითხვის პროცესში, მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვების გამოყენებით, მოსწავლეები ცდილობენ, გააკონტროლონ გაგების პროცესი. ამ ფაზაზე მოსწავლეები მიმართავენ გაგებისათვის საჭირო ისეთ ქმედებებს, როგორიცაა: წაკითხულის შეჯამება, დასკვნების გამოტანა, შეკითხვების დასმა, ვარაუდის გამოთქმა და ა. შ. ასევე, მოსწავლეები ცდილობენ, გაარკვიონ, თუ რა ვერ გაიგეს სათანადოდ და როგორ არის შესაძლებელი გააზრებაში წარმოქმნილი ხარვეზების დაძლევა. წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი უძღვება დისკუსიას, რომელიც მოცემული ტექსტის წაკითხვის თავდაპირველ მიზანზე ფოკუსირებულია.

ორიენტირებული კითხვის მეთოდი შემდეგი ძირითადი საფეხურების გავლას გულისხმობს:

1. შესავალი

- რა იცით ამ საკითხის/თემის შესახებ?

2. ვარაუდების გამოთქმა

- რას გეუბნებათ სათაური? რას შეეხება ეს ტექსტი? რატომ ფიქრობთ ასე?
- რას გეუბნებათ ყდაზე და/ან ტექსტში მოცემული ილუსტრაციები?
- რას მოგვითხრობს ეს ტექსტი? რატომ ფიქრობთ ასე?

3. ვარაუდების დადასტურება ან მოდიფიცირება

- ახლა რას ფიქრობთ? რას გრძნობთ? რატომ გაგიჩნდათ ეს აზრი/განცდა?
- შეგიძლიათ თქვენი ვარაუდების დადასტურება? ხომ არ შეცვლით ვარაუდებს?
- რა მოხდება ამის შემდეგ? რატომ ფიქრობთ ასე?

4. გააზრება/რეფლექსია

- ტექსტის რომელი ადგილების მოშველიებით შეგიძლიათ თქვენი ვარაუდების დადასტურება?
- ტექსტის რომელი ადგილების წაკითხვის შედეგად შეიტანეთ ცვლილებები თქვენს ვარაუდებში?

ორიენტირებული კითხვა რამდენიმე დანიშნულებით გამოიყენება, კერძოდ:

- მოსწავლე იაზრებს სიტყვების მნიშვნელობას და ცდილობს მათ შორის კავშირის გაბმას;
- მოსწავლე ააქტიურებს წინარე ცოდნას ტექსტის საკვანძო თემასთან და ძირითად საკითხებთან დაკავშირებით;
- მოსწავლე გაავარჯიშებს კითხვისა და გაგების საბაზისო უნარებს (ვარაუდის გამოთქმა, შეჯამება, შეკითხვების დასმა და სხვ.);
- მოსწავლე ეჩვევა ტექსტის წაკითხვის მიზნის ჩამოყალიბებას კითხვის დაწყებამდე;
- მოსწავლე სწავლობს, თუ როგორ მიადევნოს თვალყური გაგების პროცესს და როგორ გადაჭრას გააზრების დროს წამოჭრილი პრობლემები.

ორიენტირებული კითხვა ხელს უწყობს მოსწავლეებს, უკეთ გაიაზრონ და სიღრმისეულად დაამუშაონ ნარატიული (თხრობითი) ტექსტები. აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას, მოსწავლეებს უვითარდებათ კრიტიკული აზროვნება – ისინი სწავლობენ კითხვის დასმას, ვარაუდების გამოთქმას და არგუმენტირებულ მსჯელობას. მეთოდი გამოიყენება როგორც დაწყებით, ასევე საბაზო საფეხურზე.

ორიენტირებული კითხვის მეთოდი მასწავლებელს საშუალებას აძლევს, ყველა დონის მოსწავლეს გააააზრებინოს და დაამუშავებინოს თუნდაც რთული ტექსტი. შენარჩუნებულ იქნას ყურადღება და ინტერესი ტექსტის კითხვის მთელი პროცესის განმავლობაში და მოსწავლე ბოლომდე გატაცებულ მკითხველად დარჩეს.

ორიენტირებული კითხვის მეთოდი მიზნად ისახავს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას კითხვის პროცესში, ინტერესის აღძვრას, ზნეობრივ-ესთეტიკურ ღირებულებათა ჩამოყალიბებას. მოსწავლეს შეუძლია, კრიტიკულად აღიქვას, გააანალიზოს მასალა, განიხილოს მისი ღირსება და მნიშვნელობა.

ორიენტირებული კითხვის მეთოდი საშუალებას იძლევა, მოსწავლე გავიდეს ეროვნული სასწავლო გეგმით დასახულ მიზნებსა და შედეგებზე. კერძოდ:

- მოსწავლე დამოუკიდებლად კითხულობს და ადეკვატურად აღიქვამს სხვადასხვა სახის ტექსტს, გადმოსცემს მათ შინაარსს;
- გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას წაკითხულის მიმართ;
- ავლენს ეთიკური და ესთეტიკური შეფასების სურვილს;
- კონკრეტული საკითხის დასამუშავებლად, იყენებს სხვადასხვა სტრატეგიას;
- თხზავს და წერილობით გადმოსცემს სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის ტექსტს;
- ავლენს თვითგამოხატვის სურვილს.

მეთოდის გამოყენება სასწავლო პროცესში
(მეთოდი რომ უფრო ნათელი გახდეს, მკითხველისათვის მაგალითები მოყვანილი იქნება შარლ პეროს ყველასათვის კარგად ნაცნობი ზღაპრიდან „წითელქუდა“.)

- ტექსტი წინასწარ დაყავით რამდენიმე ნაწილად. მნიშვნელოვანია, რომ ტექსტი გაწყდეს საკვანძო საკითხებთან, რათა მოსწავლეებმა შემდეგ მონაკვეთში მოცემული სიუჟეტის შესახებ გამოთქვან ვარაუდი;
- გაკვეთილის დასაწყისში გააკეთეთ მოკლე მიმოხილვა ნაწარმოების ავტორზე (ამ საუბარს ნუ დაუთმობთ 5 წუთზე მეტს);
- მოსწავლეებს განუმარტეთ, რომ ტექსტი ნაწილ-ნაწილ უნდა წაიკითხონ და ყოველი ნაწილის შემდეგ მოუწევთ შეჩერება. აუხსენით, რომ ამ პირობის დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან, ერთი მხრივ, უნდა გაიაზრონ უკვე წაკითხული მონაკვეთი, ახსნან გაუგებარი სიტყვები, შეეცადონ, საკუთარი სიტყვებით გადმოსცენ შინაარსი, დასვან კითხვები წაკითხულის ირგვლივ, გასცენ პასუხები მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებს და, მეორე მხრივ, გამოთქვან ვარაუდები მომდევნო ნაწილის შესახებ;
- მოსწავლეთა გამოწვევის მიზნით, გამოიყენეთ აქტივობა: „ლექსიკური ერთეულებით ამბის შედგენა“;
- შეარჩიეთ ტექსტიდან 4-5 სიტყვა, რომელიც ამოკრეფილია შეძლებისდაგვარად ზუსტი ვარაუდების მისანიშნებლად, მაგრამ, ამავე დროს, არ ამჟღავნებს ნაწარმოების საიდუმლოს;
- ჩამოუწერეთ ეს სიტყვები დაფაზე (მაგალითად: გოგონა, მგელი, ტყე, ბებია, მონადირე) და სთხოვეთ მოსწავლეებს, ამ სიტყვების გამოყენებით, 5 წთ-ის განმავლობაში შეთხზან პატარა ამბავი და შეურჩიონ სათაური;

მოსწავლეები წერენ ინდივიდუალურად (ან წყვილებში);

- სთხოვეთ მოსწავლეებს, სურვილის მიხედვით გამოვიდნენ „საავტორო სკამზე“ და მთელი კლასის წინაშე წაიკითხონ მათ მიერ შეთხზული ამბავი. („საავტორო სკამი“ ეს არის სპეციალურად მორთული სკამი, რომელიც გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლეები თვითონ არიან ,,ავტორები“) მოსწავლეები გამოდიან და კითხულობენ, როგორც ,,ავტორები,“ თანაკლასელები ტაშით აჯილდოვებენ მათ;
- ამის შემდეგ მოსწავლეებს გააცანით მითითება (ინსტრუქცია), რომ დღეს გამოიყენებენ „ვარაუდების სქემას“. დაფაზე გააკარით წინასწარ დახაზული „ვარაუდების სქემა“ და სთხოვეთ მოსწავლეებს, გადაიხაზონ;
- აუხსენით, რას ნიშნავს „ვარაუდების სქემა“ და როგორ უნდა იმუშაონ მასზე (ვარაუდების სქემის შევსება შეუძლიათ მოსწავლეებს III კლასიდან ზემოთ).

ვარაუდების სქემა

	როგორ ფიქრობთ, რა მოხდება?	რატომ ფიქრობთ ასე?	სინამდვილეში რა მოხდა?
სათაურის წაკითხვის შემდეგ			
I მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ			
II მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ			
III მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ			

- მოსწავლეებს წაუკითხეთ სათაური და სთხოვეთ, დაფიქრდნენ და გამოთქვან ვარაუდი, თუ რაზე იქნება საუბარი ამ ტექსტში; შემდეგ სთხოვეთ, შეავსონ ცხრილის I გრაფა: „როგორ ფიქრობთ, რა მოხდება?“ და II გარაფა: „რატომ ფიქრობთ ასე?“ (ამ გრაფაში მოსწავლეებმა უნდა მიუთითონ, რა მინიშნება აქვთ საამისოდ. თითოეული პაუზისათვის გამოუყავით დრო, დაახლოებით 5-7 წთ.)

მოვიყვანოთ მაგალითი: წაუკითხეთ სათაური – „წითელქუდა“ და ჰკითხეთ: როგორ ფიქრობენ, რაზე იქნება საუბარი ამ ზღაპარში? მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს და თან მიუთითებენ, რომ რადგან სათაურია „წითელქუდა“, ალბათ მთავარი მოქმედი გმირი იქნება ბავშვი, რომელსაც წითელი ქუდი ახურავს... (ან ნებისმიერი სხვა პასუხი, რომელიც სათაურთან იქნება დაკავშირებული)

- ამის შემდეგ სთხოვეთ, წაიკითხონ პირველი ნაწილი და შეავსონ III გრაფა: „სინამდვილეში რა მოხდა?“

მოვიყვანოთ მაგალითი: მოსწავლემ კი გამოთქვა ვარაუდი, რომ მთავარი მოქმედი გმირი იქნება ბავშვი, რომელსაც წითელი ქუდი ახურავს, მაგრამ წაკითხვის შემდეგ დააზუსტა, რომ მართლაც ეს ყოფილა პატარა გოგონა, რომელსაც ბებიამ მოუქსოვა წითელი ქუდი და რადგან მუდამ ეს ქუდი ახურავს, წითელქუდა შეარქვეს.

- მოსწავლეებს სთხოვეთ, გამოთქვან ახალი ვარაუდები, რა მოხდება შემდეგ ნაწილში? და რა მინიშნება აქვთ საამისოდ. ტექსტის მეორე ნაწილში განვითარებული მოვლენების შესახებ ახალი ვარაუდები I და II სვეტში შეიტანონ.

- ასე გაიმეორეთ II და III მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ (ვიდრე მოსწავლეები უკანასკნელ მონაკვეთს არ წაიკითხავენ).

შენიშვნა: ვარაუდების გამოთქმის დროს დაიცავით გარკვეული კანონზომიერება, რათა ყოველთვის ერთი და იგივე მოსწავლე არ აქტიურობდეს. სხვადასხვა პაუზის დროს მოსწავლეებს მიეცით საშუალება, გამოთქვან აზრი ისე, რომ მთელი კლასი იყოს ჩართული ამ პროცესში (სასურველია, მასწავლებელმა თავი შეიკავოს მოსწავლის მიერ გამოთქმული აზრის კომენტირებისგან).

- კითხვის დასრულების შემდეგ მოისმინეთ მოსწავლეთა გამოხმაურება წაკითხულის შესახებ. დაუსვით შეკითხვები:

  - რას ფიქრობთ წაკითხულის შესახებ? რას გრძნობთ?

  - რა გრძნობა დაგეუფლათ, როდესაც თქვენი ვარაუდი გამართლდა? (ან, პირიქით, არ გამართლდა)

  - რით ჰგავს და რით განსხვავდება ნაწარმოები თქვენ მიერ შექმნილი თხზულებისაგან?

  - რა არის ნაწარმოების „დედააზრი“?

  - თქვენ რომ ავტორი იყოთ, როგორ განაგრძობდით? (ან როგორ დაასრულებდით ნაწარმოებს?)

ამ შეკითხვების ირგვლივ შეიძლება გაიმართოს მინიდისკუსია.

დასასრულს, შეგიძლიათ გამოიყენოთ წერითი აქტივობა: „გმირის რუკა“; გამოყავით ორი მთავარი გმირი და დაახასიათეთ სქემის გამოყენებით. სქემა თქვენ თვითონ დაუხაზეთ დაფაზე ან წინასწარ გაამზადეთ დიდი ფორმატის ქაღალდზე და აუხსენით მოსწავლეებს, როგორ უნდა იმუშაონ მასზე.

გმირის რუკა



მოვიყვანოთ მაგალითი:

- გამოყავით 2 მთავარი გმირი: წითელქუდა და მგელი;
- სთხოვეთ მოსწავლეებს, გადაიხაზონ სქემა სამუშაო ფურცელზე (ან რვეულში) და შეავსონ ინდივიდუალურად. ამისთვის შეუძლიათ ისევ დაუბრუნდნენ ტექსტს და ერთხელ კიდევ გაიაზრონ.

გმირის რუკა



- შეიძლება გამოყოთ არა ერთი, არამედ 2-3 დამახასიათებელი ნიშან-თვისება.

  შეიძლება არგუმენტი ტექსტიდან მოიყვანოთ, ან მოსწავლემ თავისი ნააზრევი დაწეროს (მაგრამ, ამ შემთხვევაში, უკეთესია არგუმენტი ტექსტიდან, რათა მოსწავლე კვლავ დაუბრუნდეს ტექსტს და უფრო კარგად გაიაზროს).
- ბოლოს მოსწავლეებმა უნდა გამოიტანონ ნამუშევრები და გააკრან დაფაზე ან კედელზე და გააკეთონ პრეზენტაცია.

  შეიძლება გამოიყენოთ აქტივობა „გასეირნება გალერეაში“, როდესაც მოსწავლეები გაკვეთილის ბოლოს ათვალიერებენ ერთმანეთის ნამუშევრებს და ნამუშევრის ქვეშ აკეთებენ წერილობით კომენტარებს.
- შეფასებისთვის, შეგიძლიათ, წინასწარ შეადგინოთ „შეფასების რუბრიკა“.

გთავაზობთ ერთ-ერთ ნიმუშს:

შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები / დონეები	I დაბალი	II დამაკმაყოფილებელი	III საშუალო	IV მაღალი
დამოუკიდებლად კითხულობს ტექსტს და იგებს მის შინაარსს				
სვამს კითხვებს ინფორმაციის უკეთ გასააზრებლად				
გამოთქვამს ვარაუდს და ამ-ყარებს არგუმენტით				
ახასიათებს ნაწარმოე-ბის გმირს და აფასებს მის საქციელს				

შეიძლება საშინაო დავალებად მისცეთ (ან კლასში შეასრულოთ) თავისუფალი თემა, მაგალითად:

- როგორ განაგრძობდი ამ ზღაპარს?
- შენ რომ წითელქუდას (ბებიის, მგლის, მონადირის) ადგილზე ყოფილიყავი, როგორ მოიქცეოდი?
- ,,მისწერეთ წერილი წითელქუდას“;
- ,,გაასამართლეთ მგელი“ და ა.შ.

დავალებების მრავალფეროვნება თქვენს შემოქმედებით ფანტაზიაზეა დამოკიდებული.

მკითხველთა თეატრი

„მკითხველთა თეატრი“ ადვილად შეიძლება იქცეს ბავშვების საყვარელ მეთოდად, ვინაიდან ის თამაშის ბევრ ელემენტს აერთიანებს.

როგორც ცნობილია, გამართული კითხვის სწავლების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა გამეორებითი კითხვა. გამეორებითი კითხვის ფორმებია:

- ექოს ტიპის კითხვა — მასწავლებელი ხმამაღლა კითხულობს ტექსტის მონაკვეთს, მოსწავლეები იმეორებენ;
- გუნდური კითხვა – მასწავლებელი და მოსწავლეები ერთად, ერთხმად კითხულობენ ტექსტს;
- მონაცვლეობითი კითხვა – პირველ სტრიქონს/წინადადებას კითხულობს მასწავლებელი, მეორე სტრიქონს/წინადადებას – მოსწავლეები;
- და „მკითხველთა თეატრი“ რომელიც არის სწავლების მეთოდი, რომელიც გულისხმობს ნარატიული ტექსტის მოსწავლეების მიერ კითხვას როლებში.

„მკითხველთა თეატრი“ გამოიყენება როგორც დაწყებით, ასევე საბაზო საფეხურზე. აღნიშნული მეთოდი:

- ავითარებს გამართული კითხვის უნარს-ჩვევას;
- ავითარებს მოსმენისა და მეტყველების უნარ-ჩვევებს;
- უნერგავს მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობების რწმენას;
- ავითარებს სოციალურ, თანამშრომლობით და ინტერპერსონალურ უნარ-ჩვევებს;
- ზრდის ბავშვის თვითშეფასებას;
- უნერგავს მოსწავლეს კითხვის სიყვარულს.

მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეები, რომელთაც არ უყვართ კითხვა, დიდი სურვილითა და სიყვარულით ვარჯიშობენ გამეორებით კითხვაში და მონაწილეობენ „მკითხველთა თეატრში“. ეს არის საშუალება, რომ მოსწავლეებს არაგანზრახ „ვაიძულოთ“ ტექსტის რამდენჯერმე წაკითხვა მაშინ, როცა უმეტესობა წიგნს/ტექსტს მხოლოდ ერთხელ კითხულობს.

„მკითხველთა თეატრის“ დაგეგმვა და განხორციელება იოლია. არ მოითხოვს ხანგრძლივ მზადებას, კოსტიუმებს, ტექსტის დაზეპირებას, დადგმას (იგულისხმება რეჟისურა), დეკორაციას. სპექტაკლისგან განსხვავებით, არ არის შეზღუდული ამ ელემენტებით. „მკითხველთა თეატრის“ განხორციელება მარტივ წარმოსახვაზეა დამოკიდებული.

ერთ-ერთი მასწავლებელი, რომლისთვისაც პრიორიტეტული იყო შეგნებული კითხვის სწავლება მესამე კლასის მოსწავლეებისათვის, აღნიშნავს, რომ მოხდა უსიამოვნო ფაქტი — მისი მოსწავლეები იყვნენ ძლიერები შეგნებულ კითხვაში, გამართულ კითხვაში კი არც თუ ისე წარმატებულები. თუმცა მასწავლებელმა მიაგნო გასაღებს. „მკითხველთა თეატრი“ მისთვის აღმოჩნდა ჯადოსნური გამოსავალი. სულ რაღაც 10 კვირაში მოსწავლეებს მნიშვნელოვანი წინსვლა ჰქონდათ გამართული კითხვის უნარის განვითარებაში. ერთწლიანი მუშაობის შედეგად კი მოსწავლეებმა მეოთხე კლასის სტანდარტს მიაღწიეს.

მეთოდის მიმდინარეობა

თუ თქვენ გადაწყვეტთ ამ მეთოდის გამოყენებით გაკვეთილის ჩატარებას, საინტერესო რესურსები ტექსტის სახით შეგიძლიათ მოიძიოთ საიტზე www.readerstheatregeo.wikispaces.com ეს არის ქართულენოვანი საიტი, რომელზეც შეგიძლიათ დარეგისტრირდეთ, ატვირთოთ თქვენ მიერ მოძიებული ტექსტები და გაუზიაროთ შთაბეჭდილებები სხვა მასწავლებლებს.

როლების გადანაწილება

პირველ რიგში, მოძებნეთ ნარატიული ტიპის ტექსტი. უმჯობესი იქნება, თუ შეარჩევთ ზღაპარს, მცირე ზომის პიესას ან მოთხრობას. განსაზღვრეთ, რამდენი როლი გაქვთ, მონიშნეთ თითოეული მათგანი. დიალოგებს შორის მონაკვეთები კი გადაუნაწილეთ მთხრობელებს.

როგორ მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, თუ მეტი როლი გაქვთ, ჯგუფი კი პატარაა? ასეთ დროს შეგიძლიათ შეარჩიოთ გამოსავალი:

- ერთ მოსწავლეს მიეცით რამდენიმე როლი;
- ამოიღეთ ან შეუთავსეთ როლი სხვა პერსონაჟს;
- კონკრეტული მთხრობელის მაგივრად, გამოიყენეთ თვითონ პერსონაჟი მთხრობელად. რაც იმას გულისხმობს, რომ პერსონაჟი კითხულობს მთხრობელისათვის განკუთვნილი ტექსტის იმ ნაწილს, რომელიც უშუალოდ მას ეხება, მის ქმედებას ასახავს (მაგ. კალათიდან ვიღებ წითელ ვაშლს და ვკბეჩ).

იმ შემთხვევაში, როცა როლი ნაკლებია და ჯგუფი დიდია:

- დაანაწევრეთ პერსონაჟები ორად ან მეტად, შესაბამისად, ტექსტიც გაიყოფა;
- დაანაწევრეთ მთხრობელების ტექსტი.

მას შემდეგ, რაც მოძებნით ტექსტს და გადაანაწილებთ როლებს, ესაუბრეთ ბავშვებს იმ აქტივობების შესახებ, რომელთა განხორციელებასაც გეგმავთ კვირის განმავლობაში. გააცანით მეთოდი „მკითხველთა თეატრი“, დაუსახეთ კვირის განმავლობაში მისაღწევი შედეგები. წაუკითხეთ ნაწარმოები სათანადო

ინტონაციისა და ჟესტიკულაციის გამოყენებით, რათა მოსწავლეებს ინტერესი აღეძრათ როგორც ნაწარმოების, ასევე მეთოდისადმი. ამის შემდეგ გადაუნაწილეთ ტექსტი. ეს სხვადასხვაგვარად შეგიძლიათ განახორციელოთ:

- დაფაზე ჩამოუწერეთ კონკრეტული მინიშნებები და თავად მოინიშნონ ტექსტში სათანადო ადგილები;
- ისეთი ტექსტი დაურიგეთ, სადაც უკვე წინასწარ იქნება მონიშნული მათთვის განკუთვნილი როლი;
- დაუსახელეთ როლი და სთხოვეთ, რომ ჩაინიშნონ.

მუშაობის ფორმები

სთხოვეთ, რომ ინდივიდუალურად გაეცნონ ტექსტს. მიაქციონ ყურადღება როგორც საკუთარ როლს, ასევე ტექსტის დანარჩენ ნაწილსაც. რათა შეძლონ ტექსტის მთლიანობაში აღქმა და თანმიმდევრობის გათავისება. შესთავაზეთ მუშაობის სხვადასხვა ფორმა:

- ინდივიდუალური - მოსწავლეები დამოუკიდებლად ამუშავებენ ტექსტს;
- წყვილებში - დააწყვილეთ მოსწავლეები, მიაბარეთ სუსტი მკითხველი კარგ მკითხველს; სთხოვეთ, რომ დახმარება გაუწიოს, მოუსმინოს და მისცეს სასარგებლო რჩევები;
- ჯგუფური - განუმარტეთ, რომ როლზე მუშაობისას დიდი მნიშვნელობა აქვს თანამშრომლობას, ამიტომ აუცილებლად გამოადგებათ მეგობრული შენიშვნა და კომენტარი. დაჯგუფება შეიძლება მოხდეს ამ პრინციპით: მთხრობელი მთხრობელთან, პერსონაჟები მთხრობელებთან ან მხოლოდ პერსონაჟები ერთად. ამ შემთხვევაში თითოეულ მოსწავლეს როლის დამუშავება-დახვეწაში მეტი მრჩეველი ეყოლება.

თქვენზეა დამოკიდებული მუშაობის როგორ სტილს შეარჩევენ თქვენი მოსწავლეები, თუმცა აჯობებს, თუ ეტაპობრივად შესთავაზებთ ინდივიდუალურ, წყვილებში და ჯგუფებში მუშაობას. გაითვალისწინეთ, რომ ინდივიდუალურ მუშაობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ჯგუფური მუშაობის შემდეგ მოსწავლემ აუცილებლად უნდა იმუშაოს დამოუკიდებლად, რათა კარგად გაიაზროს ხარვეზები, ჩაუღრმავდეს შეცდომებს და გამოასწოროს.

მოსამზადებელი პერიოდი

წინასწარ განუსაზღვრეთ დრო მოსამზადებელი პერიოდისათვის (შესაძლოა ეს იყოს 1-2 კვირა). მოსამზადებელ პერიოდში იგულისხმება ტექსტზე მუშაობა, ვარჯიში როლისათვის სათანადო ინტონაციისა და ჟესტიკულაციის შერჩევაში, რეკვიზიტების დამზადება. შეგიძლიათ ამ საქმიანობას პირობითად „რეპეტიციებიც“ დაარქვათ. დამუშავებული ტექსტის საბოლოო პრეზენტაციას კი „წარმოდგენა“.

საუკეთესო ვარიანტია ტექსტის შეტანა ორშაბათს, კვირის დანარჩენი დღეები დაეთმობა სხვადასხვა სახის აქტივობებს. კვირის ბოლოს კი დაიგეგმება წარმოდგენა. არ არის სავალდებულო რეპეტიციებს მთელი საგაკვეთილო პროცესი დაუთმოთ, ამისათვის შეგიძლიათ ყოველდღიურად გამოყოთ 10-15 წუთი, მოსწავლეებს კი ურჩიოთ, რომ ინდივიდუალურად იმუშაონ სახლებში.

მოსწავლეებს აუცილებლად მოასმენინეთ გამართული კითხვის ნიმუში. ამისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ზღაპრების აუდიოჩანაწერები ან აჩვენოთ რომელიმე მსახიობის მხატვრული კითხვის ნიმუში. აუდიო ან ვიდეომასალის ნახვის შემდეგ აუცილებლად მოაწყვეთ განხილვა. ასაუბრეთ საკუთარ ემოციებზე, შთაბეჭდილებებზე. დააფიქრეთ იმ ხერხებზე, რომელსაც იყენებს მსახიობი სათქმელის გამოსახატად. შეაფასებინეთ მათი გამოსვლა. ეს მათ გარკვეული ბარიერებისა და კომპლექსების დაძლევაში დაეხმარებათ. გარდა ამისა, მიიღებენ კონკრეტულ მითითებებს, თუ როგორ უნდა წარმართონ მუშაობა.

აუცილებლად ესაუბრეთ თეატრთან დაკავშირებულ ტერმინებზე. კარგი იქნება, თუ მოსწავლეებს წარმოდგენა ექნებათ ისეთ სიტყვებზე, როგორიც არის პიესა, რეჟისორი, სცენა, კულისი, რეპლიკა, რეკვიზიტი და ა. შ. დააფიქრეთ მათ მნიშვნელობაზე.

ასაუბრეთ მოსწავლეები სპექტაკლებში რეკვიზიტების როლზე, დატვირთვაზე. მოიფიქრონ, რა რეკვიზიტები შეიძლება დასჭირდეთ, რომ წარმოდგენა უფრო საინტერესო და სანახაობრივი გახდეს. რას მოიძიებენ შინ, რის დამზადებას შეძლებენ დამოუკიდებლად. შექმნან ჯგუფები, გადაინაწილონ დავალება, იმსჯელონ და მოიფიქრონ, როგორ დაამზადებენ რეკვიზიტებს, როგორ დაეხმარებიან ერთმანეთს. ეცადეთ, რომ ყველა მოსწავლე იყოს ინტეგრირებული ამ საქმიანობაში. ამით ჯგუფში გუნდურობის, ერთსულოვნების მუხტს შეიტანთ. მოსწავლეები გააცნობიერებენ, რა მნიშვნელოვანია ერთმანეთის დახმარება მიზნის მიღწევაში. სასურველია, ჩართოთ ამ საქმიანობაში ხატვის ან ხელოვნების მასწავლებელი.

შეფასება

მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა გააცნობიერონ, როგორ შეფასდებიან. საუკეთესო ინსტრუმენტია რუბრიკა, რომელიც შეიძლება იყოს როგორც თვითშეფასების, ასევე მასწავლებლის მიერ მოსწავლის შეფასების ფორმა. აქვე გთავაზობთ რუბრიკის ნიმუშს, რომლითაც შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ ან რომლის მიხედვითაც თქვენეული ვარიანტი დაამზადოთ. კარგი იქნება, თუ ამ საქმეში თქვენს მოსწავლეებსაც ჩართავთ და კრიტერიუმებს თავად შეიმუშავებენ.

კრიტერიუმის №	კრიტერიუმი	1 გასაუმჯობესებელია	2 დამაკმაყოფილებელია	3 საუკეთესოა
1	კითხულობს სათანადო ინტონაციით			
2	კითხულობს უშეცდომოდ			
3	კითხულობს სათანადო ტემპით			
4	ყურადღებითაა, ისმენს სხვის წაკითხულს, არ ტოვებს თავის რეპლიკებს			
5	იყენებს სათანადო ჟესტიკულაციას და მიმიკას			

რუბრიკა შეგიძლიათ გამოაკრათ კედელზე, რომ თვალსაჩინო იყოს ყველასათვის. მოსწავლეებს არ დაავიწყდებათ, რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება მუშაობისას. არ დატოვოთ მათი გამოსვლა შეუფასებელი. წაახალისეთ მათი მცდელობა, შენიშვნასა და რჩევას მოსწავლეები ერთმანეთისგან უფრო ადვილად, უმტკივნეულოდ იღებენ. ამიტომ სთხოვეთ ერთმანეთის შეფასებაც. აუხსენით, რომ შენიშვნა დელიკატურად, კორექტულად უნდა მისცენ ერთმანეთს და არ დაიშურონ კომპლიმენტები, დააფასონ, თუკი მოეწონებათ მეგობრის გამოსვლა. სთხოვეთ თვითშეფასებაც. კრიტიკულად, მაგრამ ობიექტურად უნდა აფასებდნენ საკუთარ გამოსვლას, რის მიღწევაც, დამეთანხმებით რომ, ძალზე ძნელია, თუმცა შესაძლებელი, თუ აძლევთ სწორ ნიმუშს და ხშირად მიმართავთ შეფასების ამ ტიპს.

მოსაწვევი და აფიშა

შეგიძლიათ მოსწავლეებს შესთავაზოთ მათთვის სასურველი სტუმრების დაპატიჟება. შეიძლება ესენი იყვნენ სხვა კლასის მოსწავლეები და მასწავლებლები. წარმოდგენაზე მშობლებიც დაპატიჟეთ და ამას ტრადიციის სახე მიეცით. მაგალითად: ყოველი თვის ბოლო პარასკევს მოაწყვეთ მკითხველთა თეატრის დღე. შეგიძლიათ წარმოდგენა პატარებისათვის გამართოთ, ამით მათ უჩვენებთ გამართული კითხვის ნიმუშს. ასე წაკითხული ზღაპარი, მოთხრობა თუ პიესა მათ არასოდეს დაავიწყდებათ, რაც მთავარია, კითხვისადმი სიყვარული გაუღვივდებათ, კითხვას საინტერესო საქმიანობად აღიქვამენ. თქვენი მოსწავლეებისათვის კი მაყურებელი დიდი სტიმული იქნება, რომ თანდათან უფრო დახვეწონ ის უნარები, რომელიც კარგი პრეზენტაციისათვისაა საჭირო.

სტუმრებისათვის დაამზადებინეთ მოსაწვევები. თავდაპირველად გააცანით, ზოგადად, მოსაწვევის ფორმა და სტრუქტურა, შეგიძლიათ ნიმუშიც მიუტანოთ. სთხოვეთ, რომ მოიფიქრონ მოსაწვევის დიზაინი და გააფორმონ ტექსტით.

შესთავაზეთ აფიშის დამზადებაც. დააფიქრეთ აფიშის დანიშნულებაზე: რატომ კეთდება, რა ელემენტებისაგან შედგება (იგულსხმება ინფორმაციული და ვიზუალური მხარე).

აფიშაზე უნდა იყოს მითითებული:

- პიესის/ზღაპრის/მოთხრობის დასახელება;
- ავტორი;
- პერსონაჟები;
- წარმოდგენის გამართვის დრო და ადგილი.

აფიშაზე, შესაძლოა, დამატებული იყოს ინფორმაცია, ციტატა ნაწარმოებიდან, ვიზუალური გამოსახულება, რომლითაც უფრო მეტად მიიზიდავენ და დააინტერესებენ მაყურებელს.

ამის შემდეგ აჩვენეთ ნებისმიერი სახის აფიშა და შესთავაზეთ დამზადება.

წარმოდგენა

მას შემდეგ, რაც თქვენი მოსწავლეები მზად იქნებიან წარმოდგენისათვის, საკლასო ოთახში გამოყავით ადგილი სცენისათვის. ამისათვის გამოიყენეთ საკლასო ოთახის წინა ნაწილი. განსაზღვრეთ პერსონაჟების განლაგება.

წარმოდგენის რამდენიმე სტილი არსებობს:

- ტრადიციულად, მოსწავლეები სხედან ან დგანან ნახევარწრეზე;
- განლაგებულნი არიან სწორად, რიგში და ისე კითხულობენ ტექსტს;
- მოძრაობენ სცენაზე, ასრულებენ ისეთ მოქმედებებს, რომლებიც აღწერილია ტექსტში.

სცენარი უჭირავთ ერთ ხელში, ვინაიდან ჟესტიკულაციისათვის მეორე ხელი თავისუფალი უნდა ჰქონდეთ. პერსონაჟებს თავისუფლად შეუძლიათ, იმოძრაონ სცენაზე, შეასრულონ ის მოქმედებები, რომელიც ტექსტშია აღწერილი.

მთხრობელს არ სჭირდება ტექსტის დაზეპირება. თუმცა უნდა იცოდეს საკუთარი მონაკვეთი იმდენად კარგად, რომ კითხვის დროს პირდაპირ იყურებოდეს, არ ჰქონდეს თავი მუდმივად ტექსტში ჩარგული. მოსწავლემ როლს უნდა ჩახედოს მხოლოდ თვალებით, და არა თავით.

ერთ-ერთმა მთხრობელმა უნდა წარადგინოს ტექსტის სახელწოდება და ავტორი. შესაძლოა, რაიმე ითქვას თავად ნაწამოებზე. წარდგენის შემდეგ უნდა დაიცადონ, სანამ პერსონაჟები დაიკავებენ საკუთარ ადგილებს.

ბოლო სიტყვები უნდა ითქვას ნელა და რიტმულად, რომ აუდიტორია მიხვდეს წარმოდგენის დამთავრებას. რამდენიმე წამის განმავლობაში მთხრობელები ერთ ადგილზე ჩერდებიან, ხურავენ სცენარებს და თავს უკრავენ მაყურებლებს.

გაითვალისწინეთ, რომ ეს უბრალოდ შემოთავაზებაა, არჩევანი არის თავისუფალი. თქვენ შეგიძლიათ, მოიფიქროთ ახალი დეტალები, რომლებიც, თქვენი აზრით, უფრო საინტერესოსა და სახალისოს გახდის მეთოდს.

წარმოდგენის შემდეგ

წარმოდგენის შემდეგ აუცილებლად შეავსებინეთ რუბრიკა, წარმართეთ დისკუსია კითხვებზე:

- რას გრძნობდით წარმოდგენისას?
- მოგეწონათ თუ არა თქვენი დღევანდელი გამოსვლა? რატომ?
- რამ შეუწყო ხელი თქვენს წარმატებას/წარუმატებლობას?
- რას შეცვლიდით შემდეგი წარმოდგენისთვის? და ა. შ.

ისაუბრეთ მათი გამოსვლის ძლიერ მხარეებზე, დაუფასეთ მონდომება. გააზრებინეთ, რამდენად მნიშვნელოვანი იყო თანადგომა და ურთიერთდახმარების სურვილი წარმატების მიღწევაში. თუ მოსწავლეებს წარმატებულობის განცდა დაეუფლებათ, მკითხველთა თეატრი მათი საყვარელი საქმიანობა გახდება. მეთოდი აუცილებლად დაეხმარება მოსწავლეებს ემოციურ ზრდასა და მოტივაციის, პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებაში.

ურთიერთსწავლება

მეთოდის შესახებ

ურთიერთსწავლების მეთოდი არის ძალზე ეფექტური საშუალება შეგნებული კითხვის უნარის გასავითარებლად. იგი XX საუკუნის 80-იან წლებში ანნა ბრაუნისა და ანნა-მარია პალინსკარის მიერ პრობლემურ მკითხველთა დახმარების მიზნით შემუშავდა. მეთოდი ეფექტურია დაწყებით და საბაზო საფეხურზე, როგორც აღწერით, ისე თხრობით ტექსტებზე სამუშაოდ.

პალინსკარის განმარტებით, ურთიერთსწავლების მეთოდის გამოყენების დროს ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთის ირგვლივ მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის მუშაობა დიალოგის ფორმატში მიმდინარეობს, სხვადასხვა კოგნიტური (სააზროვნო, აზროვნების სფეროსთან დაკავშირებული) და მეტაკოგნიტური (აზროვნება, დაკვირვება საკუთარი აზროვნების პროცესზე) აქტივობების გამოყენებით. ესენია:

- შეჯამება;
- კითხვების დასმა;
- ბუნდოვანი ადგილების ახსნა-განმარტება;
- ვარაუდების გამოთქმა.

მეთოდის მსვლელობის დროს მოსწავლეები ითავსებენ მასწავლებლის როლს. ისინი ტექსტზე მუშაობენ მცირე ჯგუფებში და თავად წარმართავენ „სწავლებისა“ და „სწავლის“ პროცესს. ამგვარად, ეს არის მათი ერთობლივი მცდელობა, უკეთ ჩაწვდნენ ტექსტის არსს და გაიაზრონ მასში მოცემული ინფორმაცია. მეთოდში გამოყენებული ოთხივე აქტივობა ძალზე მნიშვნელოვანი და ფუნდამენტურია შეგნებული კითხვის უნარის გასავითარებლად. თითოეული მათგანი კონკრეტულ მიზანს ემსახურება და კონკრეტულ უნარ-ჩვევებს ავითარებს და, რაც მთავარია, ხელს უწყობს მოსწავლის „კარგ მკითხველად“ ფორმირებას.

შეჯამება – არის ერთ-ერთი ურთულესი ეტაპი ტექსტის კითხვის დროს. ალბათ ყველას შეგინიშნავთ, როგორ უჭირთ მოსწავლეებს, ლაკონურად და გასაგებად გადმოსცენ ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია. „ურთიერთსწავლების“ მეთოდის პირველ საფეხურზე, ჯგუფებს ევალებათ ამა თუ იმ პასაჟის შეჯამება. ისინი ერთობლივად მსჯელობენ საკვანძო დეტალების შესახებ, რაც მათთვის უფრო გასაგებს ხდის, როგორ ამოკრიბონ ტექსტიდან მთავარი ინფორმაცია და მათი სინთეზი მოახდინონ. ამ დროს მოსწავლეებს უვითარდებათ შეჯამების, ანალიზისა და წაკითხულის გააზრების უნარები. თავდაპირველად, როდესაც მოსწავლეები პირველად იწყებენ ურთიერთსწავლების მეთოდის გამოყენებით ტექსტზე მუშაობას, ისინი მხოლოდ მცირე ერთეულების, წინადადების ან აბზაცის შეჯამებას ახერხებენ, ხოლო მოგვიანებით უკვე მთლიანი მონაკვეთის გააზრებაც ეფექტურად გამოსდით.

კითხვების დასმა – კარგი მკითხველი სვამს შეკითხვებს წაკითხულის ირგვლივ, რაც ეხმარება მას კითხვის პროცესში ეტაპობრივად გაიაზროს შინაარსი. მეთოდის მსვლელობის ამ ეტაპზე მოსწავლეებს ევალებათ, დასვან შეკითხვები, რისთვისაც მათ კონცენტრირება უნდა მოახდინონ ტექსტზე, სიღრმისეულად გაიაზრონ კონტექსტი და დასვან სხვადასხვა ტიპის შეკითხვები. ხშირად შეიძლება ჯგუფში

გაჩენილმა შეკითხვამ დავა და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვიოს. ამ შემთხვევაში, მასწავლებლის მითითებით, ისინი თავიდან უბრუნდებიან ტექსტს, რათა უკეთ გაიგონ იგი. ამგვარად, კითხვების დასმა ეფექტურს ხდის გაგების პროცესს.

ახსნა-განმარტება – კარგი მკითხველი კითხვის პროცესში, იქ სადაც უცნობ სიტყვას, ან ბუნდოვან მოსაზრებას აღმოაჩენს, ჩერდება და ცდილობს, გაიაზროს კონკრეტული სიტყვის, წინადადების შინაარსი. ურთიერთსწავლების მეთოდის მესამე ეტაპიც სწორედ ამას ითვალისწინებს. თავდაპირველად მოსწავლეები მათთვის გაუგებარ ადგილებს მოინიშნავენ, აცნობენ მეგობრებს და ცდილობენ, თავადვე მოახერხონ მათი ახსნა, კონტექსტიდან გამომდინარე, ან წინარე ცოდნასთან დაკავშირების გზით, ან მასწავლებლის დახმარებით. ეს ეტაპი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მოსწავლეებისთვის, რომელთაც ჰგონიათ, რომ კითხვის მიზანი მხოლოდ სიტყვების სწორად ამოკითხვაა (დეკოდირებაა) და ტექსტის მიღმა რა იგულისხმება, მათთვის უმნიშვნელოა. ახსნა-განმარტების ფაზაზე, როდესაც მათ მოეთხოვებათ, გაარკვიონ და ნათელი მოჰფინონ ბუნდოვან ადგილებს, ასეთი მოსწავლეებიც კი ცდილობენ, მიუბრუნდნენ წაკითხულს და მეგობრების ან მასწავლებლის დახმარებით გაიგონ იგი. ტექსტის ამგვარი დამუშავება ძალიან ეფექტურია უცხო ენის გაკვეთილებზეც. ვინაიდან ენის შესწავლის დროს ხშირია, როდესაც მოსწავლეები თითოეული სიტყვისა და ფრაზის მნიშვნელობაზე ფიქრს თავს არიდებენ და ტექსტიდან მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის ამოღებით კმაყოფილდებიან.

ვარაუდების გამოთქმა შესაძლებელია როგორც ტექსტის წაკითხვამდე, ისე მისი წაკითხვის შემდგომ. პირველ შემთხვევაში, მკითხველს ეხმარება სათაური, ილუსტრაცია ან ქვეთავი. მეორე შემთხვევაში კი მას უწევს, თვით ტექსტში მოძებნოს მცირე მინიშნებები. ჩვენ მიერ განხილული მეთოდის მეოთხე ეტაპზე მოსწავლეებმა უნდა გამოთქვან ვარაუდები და დაფიქრდნენ, რა შეიძლება მოხდეს ტექსტის მომდევნო მონაკვეთში. ამიტომ ისინი ცდილობენ, ყურადღებით გაეცნონ ტექსტს, რათა მხედველობიდან არ გამორჩეთ ავტორის მიერ გაკეთებული მინიშნებები, გამოთქვამენ ჰიპოთეზებს. მომდევნო მონაკვეთს უკვე დიდი ინტერესით ეცნობიან, რათა დაადასტურონ ან უარყონ მათ მიერ გამოთქმული ვარაუდი. ეს კი ეფექტურია იმ მხრივ, რომ უვითარდებათ წარმოსახვისა და ფანტაზიის უნარები. ამრიგად, ამ მეთოდში შემავალი კოგნიტური აქტივობების გამოყენებით, მოსწავლეებს უვარჯიშდებათ ან უვითარდებათ მნიშვნელოვანი უნარები და მოაზროვნე მკითხველებად ყალიბდებიან. ისინი:

- ეფექტურად იყენებენ წინარე ცოდნას ტექსტის გააზრების დროს;
- კითხვის დროს აკვირდებიან ტექსტის გაგების პროცესს და აზუსტებენ გაუგებარ/ბუნდოვან ადგილებს;
- ყურადღებას ამახვილებენ ძირითად და საკვანძო საკითხებზე;
- ახდენენ ინფორმაციის სინთეზს კითხვის პროცესში;
- გამუდმებით აკეთებენ აღმოჩენებს, როგორც ტექსტის კითხვისას, ისე მისი წაკითხვის შემდგომ;

- სვამენ შეკითხვებს;
- შეუძლიათ ტექსტის არა მხოლოდ სწორად წაკითხვა, არამედ მისი გააზრება და საკუთარი აზროვნების პროცესზე დაკვირვება, რადგანაც უწევთ ტექსთან მრავალგზის მიბრუნება და მისი სხვადასხვაგვარად გადამუშავება.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ მუშაობის ამგვარი ფორმა იძულებულს ხდის ჯგუფის თითოეულ წევრს, აქტიურად ჩაერთოს პროცესში და თამამად გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები. გარდა ამისა, ხელს უწყობს სხვადასხვაგვარი უნარის მქონე მოსწავ-ლეთა ურთიერთთანამშრომლობას.

მეთოდში შემავალ აქტივობათა ზემოთ მოცემული თანმიმდევრობა არ არის გადამწყვეტი. თქვენ შეგიძლიათ, თქვენი კლასის საჭიროებებისა და სწავლების სტილის შესაბამისად, შეცვალოთ იგი. შესაძლებელია დაამატოთ ან ჩაანაცვლოთ აქტივობები. ოთხკაციან ჯგუფებში ძირითადად ამ აქტივობების გამოყენებით მიმდინარეობს ტექსტის დამუშავება, თუმცა საინტერესოს ხდის სამუშაო პროცესს მეხუთე აქტივობის – ვიზუალიზების დამატება (თუკი, რა თქმა უნდა, ამის საშუალებას იძლევა მოსწავლეთა რაოდენობა კლასში). ამ როლის შესრულებისას, მოსწავლეებმა ტექსტის წაკითხვის შემდგომ უნდა შექმნან ილუსტრაციები, ანუ წარმოიდგინონ და გააკეთონ ჩანახატები თითოეულ წაკითხულ ეპიზოდზე, რაც ხელს უწყობს ფანტაზიისა და წარმოსახვის უნარის განვითარებას.

იმ შემთხვევაში, თუ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა არ იძლევა საშუალებას, რომ ჯგუფი თანაბარი რაოდენობის წევრებით დაკომპლექტდეს, შეგიძლიათ თითო დავალება ორ ბავშვს გაუნაწილოთ ან მათ დამკვირვებლის ფუნქცია შეუთავსოთ.

იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ეფექტურად იმუშაონ, გირჩევთ, ურთიერთსწავლების მეთოდის გამოყენებამდე, გარკვეული დრო დაუთმოთ მასში შემავალი აქტივობების შესწავლას, ანუ დაგეგმოთ და ჩაატაროთ გაკვეთილები თითოეულ მათგანზე: შეჯამება, კითხვების დასმა, ახსნა-განმარტება, ვარაუდების გამოთქმა, ვიზუალიზება. მას შემდეგ, რაც დარწმუნდებით, რომ მოსწავლეები წარმატებით ახერხებენ ამ აქტივობების დახმარებით ტექსტების დამუშავებას, შეგიძლიათ ეფექტურად გამოიყენოთ ზემოთ დასახელებული მეთოდი სასწავლო პროცესში.

მეთოდის გამოყენება სასწავლო პროცესში

თავდაპირველად შეარჩიეთ კარგად სტრუქტურირებული აღწერითი ან თხრობითი ტიპის ტექსტი, რომელიც საშუალებას მოგცემთ, მოსწავლეები ჯგუფებში, ურთიერთსწავლების მეთოდის გამოყენებით ამუშაოთ. ამიტომ ტექსტის მოცულობა და შინაარსი გათვლილი უნდა იყოს იმაზე, რომ ჯგუფის წევრებმა შეასრულონ მეთოდით გათვალისწინებული ყველა ტიპის სამუშაო, ანუ მისი თითოეული ნაწილის (აბზაცის) ირგვლივ დასვან კითხვები, დააზუსტონ ბუნდოვანი ადგილები ან ტერმინები, შეაჯამონ წაკითხული მონაკვეთი და გამოთქვან ვარაუდები.

ტექსტის შერჩევის შემდეგ, შეეცადეთ, თითოეული ჯგუფისათვის შექმნათ სახელმძღვანელო სქემა, სადაც კონკრეტულად იქნება მითითებული მოვალეობები. იქვე მიუთითეთ მაგალითები ან კითხვის სახით ჩამოაყალიბეთ შესასრულებელი საქმიანობა, რითაც უფრო გაუმარტივებთ მათ ტექსტზე მუშაობას.

გთავაზობთ ასეთი სქემის ნიმუშს:



დაამზადეთ სამუშაო ფურცელი ჯგუფის წევრებისათვის. მასზე აუცილებლად მიუთითეთ ვისთვის არის განკუთვნილი (ანუ მასზე უნდა იმუშაოს: კითხვების დამსმელმა, შემმჯამებელმა, ამხსნელმა თუ ვარაუდების გამომთქმელმა) და გამოყავით თავისუფალი სივრცე, სადაც მოსწავლეები გააკეთებენ მოკლე ჩანაწერებს.

თუ ამ ტიპის სამუშაო ფურცელს ორიგინალურ სახეს მისცემთ, ან რაიმე ილუსტრაციას დაურთავთ, რასაკვირველია, უფრო მეტად განაწყობთ მოსწავლეებს სამუშაოდ.

სამუშაო ფურცლის ნიმუში:



ასევე, სასურველია, თითოეული ჯგუფისთვის შექმნათ საპრეზენტაციო სქემა, სადაც განთავსდება მათი სამუშაო ფურცლები და საბოლოოდ შეჯამდება ჯგუფის მიერ გაწეული საქმიანობა. მაგალითად:



მეთოდის მიმდინარეობა განვიხილოთ ქვემოთ მოცემული ტექსტის („ყველაფერი ჭიანჭველების შესახებ“) მაგალითზე. პირველ ეტაპზე განაწყვეთ მოსწავლეები ტექსტზე სამუშაოდ. მოტივაციის შესაქმნელად, შეგიძლიათ, დასვათ კითხვები. მაგ. გაიხსენეთ ყველაზე მშრომელი და ღონიერი არსებები. ან გამოიყენეთ რაიმე მცირე აქტივობა: „გონებრივი იერიში“, „ასოციაციური რუკა“ და ა.შ.

დაყავით კლასი ჯგუფებად და გააცანით ტექსტზე მუშაობის სტრატეგია. გაახსენეთ, რას გულისხმობს ურთიერთსწავლების მეთოდით ტექსტის დამუშავება და რაში ეხმარება ის მათ. კარგი იქნება, თუ თავად მოახდენთ დემონსტრირებას და მისცემთ კონკრეტულ ნიმუშს. ანუ წაუკითხავთ ტექსტის ერთ მონაკვეთს (აბზაცს). შეასრულებთ ჯგუფის თითოეული წევრის სავარაუდო ფუნქციას. ამით მოსწავლეებს საშუალებას მისცემთ, დააკვირდნენ თქვენი აზროვნებისა და მოქმედების პროცესს. გააკეთებენ დასკვნებს, როგორ არის შესაძლებელი ამის განხორციელება.

ყველაფერი ჭიანჭველების შესახებ

წარმოუდგენელია პიკნიკი ჭიანჭველების გარეშე. მათ ხომ ასე ძალიან უყვართ ნარჩენებით პირის ჩატკბარუნება. ისინი ძალზე საინტერესო არსებები არიან, მიუხედავად იმისა, რომ დაუპატიჟებელ სტუმრებად ითვლებიან. ალბათ ყველას შეგინიშნავთ, როგორ მიაცუნცულებენ სუფრიდან ნამცეცებს, თავისზე ორჯერ მეტი ზომის ტვირთს ეზიდებიან და ცდილობენ, არ დატოვონ უმცირესი ნარჩენიც კი. ისინი საკმაოდ გონიერი არსებები არიან. ზამთრის სარჩოს შეგროვებას ზაფხულში იწყებენ. თითოეულ მარცვალს პირით შუაზე კვნეტენ, რომ არ აღმოცენდეს და საკვებად უვარგისი არ გახდეს. თუ შეამჩნიეს, რომ დანესტიანდა, დაობებისგან დასაცავად აშრობენ კიდევაც და გასაშრობად მხოლოდ კარგ ამინდში გამოაქვთ. ამინდის გამოცნობა კი მათ არ ეშლებათ, თამამად შეიძლება ვენდოთ: თუკი დავინახავთ, რომ ჭიანჭველა მარაგს აშრობს, ესე იგი არ გაწვიმდება. ამგვარ საქმიანობას ჭიანჭველები, ძირითადად, ერთობლივად ასრულებენ.

ჭიანჭველები მიწისქვეშა გვირაბებში, ხან კი მიწისაგან აშენებულ ბორცვებში ოჯახებად ცხოვრობენ. ზოგი მათგანი მცენარეთა ღრუებში იბუდებს. თითო ოჯახში 300 000-მდე ჭიანჭველაა. ჭიანჭველების ოჯახი შედგება სხვადასხვა წევრისაგან. ყოველ მათგანს მკაცრად განსაზღვრული ფუნქცია აქვს. დედოფალი ქმნის ოჯახს და დებს კვერცხებს. ოჯახის დაარსების შემდეგ თითქმის არასოდეს ტოვებს ბუდეს. დებს ათასობით კვერცხს, რომლისგანაც, თავდაპირველად, მუშა ჭიანჭველები იჩეკებიან. მათ განაწილებული აქვთ ფუნქციები: ზრუნავენ დედოფლის გამოკვებაზე, აწესრიგებენ ან აფართოებენ ბუდეს, იცავენ ოჯახს მტრისაგან, უვლიან პატარებს, იმარაგებენ საკვებს. თითოეული მათგანი თავის მოვალეობას ცხოვრების ბოლომდე ასრულებს. მუშა ჭიანჭველები, ძირითადად, მდედრები არიან. მამრი ჭიანჭველების ცხოვრება ძალიან ხანმოკლეა. მათი უმთავრესი მოვალეობაა, გაანაყოფიერონ მდედრი, რის შემდეგაც იხოცებიან.

ჭიანჭველებს ოსტატურად აქვთ მოწყობილი საცხოვრებელი. მიუხედავად იმისა, რომ მათ ბუდეს მხოლოდ ერთი შესასვლელი აქვს, იგი ბევრი ოთახისაგან შედგება. თითოეულ მათგანს თავისი დანიშნულება აქვს. ყველაზე დიდი - დედოფლის სამყოფელია, სადაც იგი კვერცხებს დებს. აქ მხოლოდ მუშა ჭიანჭველებს აქვთ შესვლის უფლება, რათა საკვები მიუტანონ დედოფალს და კვერცხები სპეციალურად გაკეთებულ საბავშვო ოთახებში გადაზიდონ. არსებობს განტვირთვის ოთახებიც, სადაც მუშა ჭიანჭველები ხანგრძლივი შრომის შემდეგ ისვენებენ. ასევე, აქვთ საკუჭნაო, საკვების მარაგის შესანახად. ბუდეში ისინი ტემპერატურასაც აწესრიგებენ. ზაფხულში ბინის შიდა სივრცეს ზრდიან, ამისთვის სახურავს ზემოთ წევენ ან ოთახების კედლებს აფართოებენ. ზამთარში პირიქით იქცევიან: ბუდის კედლებს ადაბლებენ, რითაც შიდა სივრცე მცირდება და სითბო მატულობს.

არსებობს ჭიანჭველების ზოგიერთი სახეობა, რომელიც ძარცვავს მეზობელ ოჯახებს, პარავს მათ კვერცხებს და გამოჩეკილ ჭიანჭველებს იყენებს მონებად. „მონები“ იმავე სამუშაოს ასრულებენ, რაც, წესით, საკუთარ ოჯახში უნდა შეესრულებინათ. ზოგი ეხმარება მათ პატარების მოვლაში, ზოგი საკვების მოპოვებაში, დანარჩენები იცავენ ბუდეებს. ასევე, ცნობილია ჭიანჭველების სახეობა, რომლის წარმომადგენლებიც, იმის გამო, რომ შრომა ეზარებათ, სხვის ბუდეებში სახლდებიან და მუშა ჭიანჭველებს საკუთარ შვილებს აზრდევინებენ.

ამგვარად, ჭიანჭველათა ცხოვრების წესზე დაკვირვების შედეგად, ენტომოლოგები — მეცნიერები, რომლებიც მწერებს შეისწავლიან, ამბობენ, რომ ჭიანჭველები ყველაზე მაღალგანვითარებული არსებები არიან. დღეისათვის, 6000-მდე სახეობა არსებობს. თუმცა ბევრი მათგანი ჯერ კიდევ შეუსწავლელია. ამიტომ, შესაძლებელია, მათი რაოდენობა მომავალში კიდევ გაიზარდოს. ჭიანჭველების სიცოცხლის ხანგრძლივობა, საშუალოდ, 1 წელია, თუმცა მდედრი ჭიანჭველები 20 წლამდეც კი ცოცხლობენ.

ტექსტის პირველი აბზაცის წაკითხვის შემდეგ შეგიძლიათ შეახსენოთ მათ, რომ: შემაჯამებელი ახდენს ტექსტის შეჯამებას და ჯგუფში სვამს ამასთან დაკავშირებულ შეკითხვებს, მაგალითად:

- რა არის ამ მონაკვეთის მთავარი იდეა?
- რა გავიგეთ ამ ნაწყვეტიდან ჭიანჭველების შესახებ? და ა.შ.

შემაჯამებელი თავად წარმართავს ჯგუფში ამ საკითხთან დაკავშირებულ დის-კუსიას და ცდილობს, საბოლოო დასკვნები სამუშაო ფურცელზე მოინიშნოს. მაგალითად:

- ამ მონაკვეთიდან ჩანს, რომ ჭიანჭველები მშრომელი და ღონიერი არსებები ყოფილან და ამინდის გამოცნობაც კი შეძლებიათ.

კითხვების დამსმელი სვამს შეკითხვებს წაკითხულის ირგვლივ. მაგალითად:

- რის შესახებ არის საუბარი ამ ნაწყვეტში?
- როგორ ემზადებიან ჭიანჭველები ზამთრისთვის? და ა.შ.

სასურველია, მან მოინიშნოს ყველა კითხვა, რომელიც ამ მონაკვეთის ირგვლივ გაჩნდება.

ამხსნელი ცდილობს, ჯგუფის წევრებისთვის გაუგებარ სიტყვებსა და ბუნდოვან ადგილებს ნათელი მოჰფინოს. ამ კუთხით წარმართავს დისკუსიას ჯგუფში, მაგალითად:

- რას ნიშნავს „სარჩოს შეგროვება“? და ა.შ.

იგი იწერს ჯგუფის წევრებისაგან მიღებულ განმარტებებს. მაგალითად:

- „სარჩოს შეგროვება“ გულისხმობს საკვების მომარაგებას.

ვარაუდების გამომთქმელი, წაკითხული პასაჟიდან გამომდინარე, ცდილობს, დაფიქრდეს და გამოთქვას თავისი მოსაზრება, როგორ შეიძლება გაგრძელდეს ამბავი შემდეგ მონაკვეთში და თავის ვარაუდებს შეუდარებს ჯგუფის სხვა წევრების მოსაზრებებს. საბოლოოდ მიღწეულ შეთანხმებას წერილობით დააფიქსირებს ფურცელზე. მაგალითად:

- ამ აბზაცის ბოლო წინადადებიდან გამომდინარე, შემდეგ ნაწილში ალბათ საუბარი იქნება მათ სხვა ერთობლივ საქმიანობაზე ან ერთობლივ ცხოვრებაზე.

თითოეული ამ განმარტების შემდეგ გამოიკითხეთ, იყო თუ არა რაიმე ბუნდოვანი ან გაუგებარი, დაასმევინეთ შეკითხვები, განუსაზღვრეთ ტექსტის პირველ ნაწილზე მუშაობის დრო და ჯგუფებს საჭირო მასალები დაურიგეთ:

- ტექსტები;
- ბარათები;
- სახელმძღვანელო სქემა მეთოდზე სამუშაოდ;
- ცალკეული ჯგუფისათვის განკუთვნილი საპრეზენტაციო სქემები (შეგიძლიათ ისინი წინასწარ განათავსოთ კედლებზე).

თვალი მიადევნეთ თითოეული ჯგუფის საქმიანობას, მიაქციეთ ყურადღება, რომ ჩანიშვნები დარიგებულ ბარათებზე აწარმოონ; სწორად წარმართონ დისკუსია, სწორად გადაანაწილონ დრო, ანუ თანაბარი დრო დაუთმონ ცალკეული მონაკვეთების განხილვას.

მუშაობის დასრულების შემდეგ ჯგუფის თითოეული წევრი ახდენს საკუთარი ნამუშევრის პრეზენტაციას და სამუშაო ფურცელს ათავსებს (აკრავს) მათთვის განკუთვნილ სქემაში (იხ. ზემოთ). იმისათვის, რომ ეს პროცესი ორგანიზებულად წარიმართოს, უმჯობესია, პირველი ნაწილის პრეზენტაცია კლასის წინაშე მხოლოდ ერთმა ჯგუფმა გააკეთოს, დანარჩენებმა კი ის განსხვავებული მოსაზრებებით შეავსონ.

მომდევნო ეტაპებზეც ამ პრინციპით გრძელდება მუშაობა, იმ განსხვავებით, რომ თითოეული ნაწილის დამუშავების შემდეგ ჯგუფში როლები იცვლება, რაც იმას გულისხმობს, რომ გაკვეთილის განმავლობაში ყველა მოსწავლეს მოუწევს ოთხივე (ან ხუთივე) ტიპის დავალების შესრულება. საბოლოო ჯამში კი ასეთი სურათი შეიქმნება: კლასის წინაშე ჯგუფები თითო პრეზენტაციას წარმოადგენენ, მაგრამ საპრეზენტაციო სქემებს სრულად შეავსებენ.
დასკვნით ეტაპზე აუცილებლად შეაფასეთ მათი ნამუშევრები და გამოკითხეთ:

- გაუჭირდათ თუ არა მუშაობა?
- რა იყო რთული?
- რომელი როლის შესრულება იყო ყველაზე საინტერესო?
- დაეხმარა თუ არა მათ ამგვარი მუშაობა ტექსტის გაგებაში?